

მოთხრობები ბავშვებისთვის



40 აია

ავტორი:

სელჯენ იუქსელ არვას

მხატვარი:

დერია იშიქ ოზბაი



რსს
განათლების
მეცნიერებათა
და სპორტის
მინისტრო





შესავალი

ძვირფასო ბავშვებო,

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა : 1040
საბავშვო წიგნები : 271
მოთხრობები ბავშვებისთვის - 40 აია

ავტორი: სელჯენ იუქსელ არვას

მხატვარი: დერია იშიქოზბაი

რედაქტორი: სევდე სევან უსაქ

გარეკანის დიზაინი: შეიდა ჯანსევერ

გრაფიკული დიზაინი: შეიდა ჯანსევერ

შესწორება: რეშან ილდირიმ ბაირაქ

გამომცემის მომზადება: ემრე ილდიზ

გამომცემის კონტროლი: ისმაილ დერინ

კოორდინატორი: ბუნიამინ ქაპრამან

რელიგიური სამმართველოს

აღმასრულებელი კრების

გადანყვეტილება 10.03.2014/22

ისბნ: 978-975-19-6043-6

2020-06--0003-1040

სერტიფიკატის ნომერი: 12930

ქართულად თარგმნა: ნინო კახაძემ

ქართული გრაფიკა: ბილალ ილქაი

ამ ქვეყანაზე გაჩენილი ათასი სულიერი არსებიდან ადამიანი ერთადერთია, რომელსაც ჭკუა-გონება გააჩნია და ამ სამყაროში ალლაჰის ხალიფაა. ალლაჰმა, რომელმაც ეს თვისებები გვიბოძა, გამოგვიგზავნა წიგნები, რომლებიც მას და მის სურვილებს გვაცნობენ. წიგნების დახმარებით მთელ კაცობრიობას მიმართავს. ამათგან ბოლო წიგნი ყურ'ანი ქერიმია. ალლაჰს ჩვენს წიგნში, ყურ'ანი ქერიმში, არსებული სიტყვების წყალობით ვიცნობთ. ამ სიტყვებს „აია“ -ს ვუწოდებთ. აიებზე ანუ მის სიტყვებზე წარმოდგენა რომ არ გვექონოდა, არ გვეცოდინებოდა ჩვენგან რა სურს და რისი გაკეთება გვმართებს. ყურ'ანი ქერიმის მეშვეობით სიკეთეს, სიმართლეს, გულწრფელობასა და პატიოსნებას ვსწავლობთ. ამიტომაც, წიგნში „40 აია“ ყურ'ანი ქერიმიდან მცირე ამონარიდი წარმოგიდგინეთ. ჩვენი გამჩენის ლამაზი სიტყვები პატარა მოთხრობების დახმარებით ავხსენით. წაკითხვა სასიამოვნო რომ ყოფილიყო, მოთხრობები ნახატებით გავალამაზეთ. შეგიძლიათ ეს სიტყვები წაკითხოთ, ცხოვრების გიდად აქციოთ და გარშემომყოფებისთვის მისაბაძი ადამიანი გახდეთ. სასიამოვნო კითხვას გისურვებთ...

დიანეთის საქმეთა მმართველი

ვამანჯობა

იცით, ყველაზე კარგად ვინ გიცნობთ? საუკეთესო მეგობარი? თქვენი მასწავლებელი? თქვენი და-ძმა? დედა ან მამა? უეჭველად არიან თქვენს ცხოვრებაში ადამიანები, რომლებმაც თქვენ შესახებ ბევრი რამე იციან. არსებობს თუ არა ისეთი ვინმე, რომელმაც ყველაფერი იცის? არსებობს თუ არა ვინმე, ვინც თქვენი ყველა ქმედება, ფიქრი, სურვილი, წამი, უფრო მეტიც, თქვენთვისაც კი უცნობი, თქვენი ბედი იცის? დიახ, არსებობს. თქვენი აზრით, ვინ არის ეს? დიახ, მართალი ხართ, ეს, რა თქმა უნდა, დიადი ალლაჰია. თქვენ, ჩვენ, ყვავილები, ხილი, ბოსტნეული, ქუჩაში მოსიარულე კატა, ცაში მფრინავი ჩიტი, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ყველაფერი, რაც კი მოგაფიქრებთ და ისიც, რასაც ვერ კი გაივლებთ გულში, ყველაფერი ამ სამყაროში დიადმა ალლაჰმა გააჩინა. ის ჩვენ, ჩვენზე უკეთ გვიცნობს. დიად ალლაჰსაც სურს, რომ მას ვიცნობდეთ. სურს, რომ ის და თავისი შექმნილი უნიკარული წესრიგი გავიცნოთ. ამიტომაც, შუამავლები და ძვირფასი წიგნები გამოგვიგზავნა, რომლებიც მას გვაცნობენ. ყურ'ანი ქერიმი ჩვენს გამჩენზე მოგვითხრობს. მის შექმნილ შეუდარებელ წესრიგს გვაცნობს. გვიხსნის, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ამ ქვეყანაზეც და შემდგომ სამყოფელშიც ბედნიერი ვიყოთ. მოცემული წიგნიც ყურ'ანი ქერიმის მცირე ამონარიდს გვთავაზობს. ჩვენი გამჩენის ლამაზი სიტყვები პატარა მოთხრობების დახმარებით ავხსენით, რომ სასიამოვნო საკითხავი და მარტივი გასაგები ყოფილიყო და არ მოგეწყინათ. სასიამოვნო კითხვას გისურვებთ...

სენჯელ იუქსელ არვას



საჩუქრე



ღაბმანგება... 8 · 9

ღვინთი... 10 · 11

მეზობნი... 12 · 13

ვაჭარი... 14 · 15

მეჩუნი... 16 · 17


ჯანსკვლავები... 18 · 19

მინა... 20 · 21

ჯაგნებანი... 22 · 23

ხე... 24 · 25

ზოჯა... 26 · 27



წყევლა... 28 · 29

ერთგულება... 30 · 31

მოსავლის აღება... 32 · 33

მემკვიდრეობა... 34 · 35

სახსნი... 36 · 37

ტყუილი... 38 · 39

შრომისმოთხრობა... 40 · 41

სტუმარი... 42 · 43

და-ძმა... 44 · 45

ღამე... 46 · 47





მსტატი... 48 · 49

ეჭიმი... 50 · 51

ცხოველები... 52 · 53

ახალი მთვანი... 54 · 55

ანიეზნი... 56 · 57

ქანიანი... 58 · 59

დანიეული ფული... 60 · 61

ნიმა... 62 · 63

ანიეოვილის თანი... 64 · 65

უნიანი

თანი შენიანი... 66 · 67



იმედი... 68 · 69

ვერცხი და... 70 · 71

ფუტკარი... 72 · 73

ბავშვი... 74 · 75

ჯანმრთელი თვალი... 76 · 77

ბროწეული... 78 · 79

ვაჟ შინი... 80 · 81

მარტოეული და... 82 · 83

კეცხელი... 84 · 85

ფეხსაცმელი... 86 · 87



მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40 წმ



დახმარება

809

ერთ დროს ცხოვრობდა მოხუცი, უპატრონო დეიდა, სახელად ჰაირიე. უზარმაზარ ეზოში მდებარე სახლში სრულიად მარტო ცხოვრობდა.

„დეიდა, ამ მოხუცობის ჟამს, შენი ბაღში მუშაობა სად გაგონილა? შვილი არ გყავს, ბაღის საქმეებს რომ გაუძღვეს?“ - ჰკითხა უცნობმა.

„არ მყავს“ - მიუგო მოხუცმა.

„არც ახლო მეზობელი გყავს?“

„არა, არც მეზობელი.“

„ნათესავი, მეუღლე ან მეგობარი?“

„არც ერთი შვილი.“

„დეიდა, ამხელა სახლში, ამხელა ეზოში მარტო როგორ ცხოვრობ? დახმარება რომ გესაჭიროება, რას აკეთებ?“

„შვილო, მე ყოველი ლოცვისას ალლაჰს ვეუბნები: „მხოლოდ შენ გემსახურები და მხოლოდ შენგან ველოდები დახმარებას.“ ალლაჰი როცა არსებობს, სხვისი დახმარება რაში მჭირდება? გასაჭირში როცა ჩავვარდები, ის მიწვდის დახმარების ხელს.“ - მიუგო დეიდამ. დეიდას რწმენამ უცნობზე ძალიან იმოქმედა.

„დეიდა, ხომ არაფერი გაქვს გასაკეთებელი? მე დაგეხმარები.“

- უთხრა.

მოხუც დეიდას გაეცინა და უთხრა:

„შვილო, ზამთრისთვის შეშა მაქვს გასამზადებელი. ამ დილით გამახსენდა და ვიფიქრე, ნატავი ალლაჰი ვის გამომიგზავნიდა დასახმარებლად. როგორც ჩანს, შენ ყოფილხარ. წამოდი საშუშეს გაჩვენებ.“

უცნობმა ხელები აიკაპინა და დეიდას გაჰყვა.

სურა ფათიჰა, აიათი -5.
“მხოლოდ შენ გცემთ
თაყვანს და მხოლოდ შენგან
ვითხოვთ შეწევნას!”

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40 ლი



საერთაშორისო
ინტელაქტუალური
კონკორდის
ფონდის
კამპანია

ტვირთი

10 • 11

იბრაჰიმის მამა მენვრილმანე იყო. ხანში შესული ცხენით, ქირათით, სალამომდე დაატარებდა ხის ურიკას ქურჩა-ქურჩა და წვრილმანებს აგროვებდა. არდადეგებზე იბრაჰიმი მამას უნდა დახმარებოდა. დასხდნენ ხის ურიკაზე პირველ დღეს და გზას გაუყვნენ. „მენვრილმანეე, წვრილმანებს გავროვეე!“ -გაიძახოდა მამამისი. რამდენიმე საათში ხის ურიკა საკმაოდ შეივსო. „ნამოდი. ესენი წავილოთ და უკან დავბრუნდეთ.“ -უთხრა მამამ. „მამა, ჯერ კიდევ არის საკმაო ადგილი, შევავსოთ და ისე წავიდეთ. დრო არ დავკარგოთ.“ -უთხრა იბრაჰიმმა.

„შვილო, ადგილი არის, მაგრამ სულ მეტალის ნივთები ალავია. ძალიან დამძიმდება და ქირათი ვერ გაუძლებს.“

„კარგი რა მამა! ძალიან ათამამებ შენს ცხენს. მას რა ევალება? ტვირთის გადაადგილება, ხომ ასეა? დატვირთე რასაც მოათავსებ.“ -უთხრა იბრაჰიმმა.

„შვილო, ალლაჰიც კი არ ტვირთავს თავის მიმდევრებს იმხელა ტვირთით, რასაც ვერ გაუმკლავდება. „ალლაჰი მხოლოდ იმდენს

მოსთხოვს ადამიანს რისი ძალაც შესწევს.“ რაში გვარგებს იმ ახლო მეგობრის ასეთ გასაჭირში ჩაგდება, რომლის წყალობითაც საკვების ფულს გამოვიმუშავებთ? ქირათს მხოლოდ ამდენი ტვირთის გადაზიდვა შეუძლია, უფრო მეტი კი მას გაანვალებს.“

იბრაჰიმი მიხვდა, რომ მამამისი მართალი იყო. ვინ იცის, კიდევ რამდენ რამეს ისწავლის მამისგან.



სურა ბაყარა, აიათი -286.

„ალლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას ძალუძს“.

ძირსწილობები
ბავშვებისთვის
4000



MUSEUMS
International charity

შეჯიბნი

12^o 13

კარზე რომ დააკაკუნეს, მოხუცი კაცი შეცბუნდა. ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო? კარი რომ გააღო, რამდენიმე ბავშვი დაინახა.

„გისმენთ ბავშვებო, ვინმეს ეძებდით?“ -უთხრა.

„თქვენ გეძებდით ბიძია. ჩვენ მოშორებით მდებარე ყურ'ან კურსის მოსწავლეები ვართ. ჩვენი მასწავლებლის წახალისებით 'სიკეთისთვის მებრძოლთა გუნდი' დავაარსეთ. ანე რიგის მიხედვით მოვალთ თქვენთან და გკითხავთ, ხომ არაფერი გჭირდებათ. აი ეს საჭმელები კი დედაჩვენმა გამოგიგზავნათ.“ -უპასუხა ერთ-ერთმა საყვარელმა გოგონამ.

მოხუცი კაცი ძალიან აღელდა. „დიდი მადლობა. დამეხმარეთ კიდევ. მე არაფერი მჭირდება.“ -უთხრა.

„კარგი რა ბიძია. თქვენ ჩვენ საერთოდ არ გვეხმარებით. მასწავლებელმა გვითხრა, რომ ყურ'ანში ალლაჰი ბრძანებს: 'ერთმანეთს სიკეთის კეთებაში შევეჯიბროთ.' ჩვენც ამ შეჯიბრში ვღებულობთ მონაწილეობას. თქვენ თუ არაფერს ისურვებთ, ამ შეჯიბრს როგორ მოვიგებთ?“ -მიუგო პატარა გოგონამ. მოხუცს გაეცინა. „ოხ ჭკვიანო ცუგრუმელა! რახან კეთილ საქმეებში ეჯიბრებით ერთმანეთს, აი ამ ხეზე ხილი მოკრიფეთ და ჭამეთ.“

„კარგი რა ბიძია! შენს ხილს თუ მოვკრეფთ და შევჭამთ, შენ რა სარგებელი გექნება?“

„ოოო, თქვენგან მაგალითს ვიღებ და თქვენს შეჯიბრში ვერთვები. აბა ვნახოთ, ამ შეჯიბრს ვინ მოიგებს.“

ბავშვებმა საჭმლის კალათები კართან დატოვეს და სიხარულით აცოცდნენ ხილის ხეზე.

სურა ბაყარა, აიათი -148.

„ყველა თქვენგანს ერთი მხარე (ყიბლე) აქვს, რომლისკენაც სახეს მიაპყრობს. მაშ, შეეჯიბრეთ ერთმანეთს სიკეთის ქმნაში. სადაც არ უნდა იყოთ, ალლაჰი შეგკრებთ ყველას ერთად. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა“.

მოხსნობები
ბავშვებისთვის
400



ვაჭარი

14 • 15

მოხუცი ქალი ბაზრობის დაკეტვას ელოდებოდა. ნელ-ნელა ბაზრობის ტენტები ძირს ეშვებოდა. მის მსგავსად საჭიროების მქონეთათვის სავაჭრო დახლების გვერდიდან ხილსა და ბოსტნეულს აგროვებდა. ესენი ისეთი პროდუქტი იყო, რომელიც გასაყიდად უვარგისი იყო. სახლში რომ მიდიოდა, გამომპალ ნაწილებს აცილებდა და ობოლ შვილიშვილებს აჭმევდა. სამწუხაროდ, კარგი პროდუქტის საყიდლად ფული არ ჰქონდათ. ბაზრობაზე ხილის ახალი დახლი იდგა. ქალს ეს ახალი ვაჭარი აქამდე არასდროს დაენახა. უყურებდა, დახლის გვერდით ხომ არაფერი იდო მათთვის. არ იყო... მხოლოდ კარგი ხილი იყო. „როგორც ჩანს, შეცდომით დაუწყიათ.“ - გაიფიქრა თავისთვის. ნასასვლელად მობრუნდა და სწორედ ამ დროს დაუძახა ვაჭარმა:

„დეიდა, აილე ეს ხილი. შენთვის გავამზადე.“

„შვილო, შეცდომით დაგინყვია. სულ ახლებია. ხვალ გაყიდი.“ - მიუგო ქალმა.

„დეიდა, ესენი შენთვის გადავარჩიე. გაფუჭებული ხილ-ბოსტნეული რომ გადაგირჩიო, რა სარგებელს ვნახავ? ალლაჰი ბრძანებს: „ალლაჰმა იცის რასაც გასცემთ.“ არ მინდა ალლაჰმა ღარიბებისთვის გაფუჭებული პროდუქტის მიმცემად მცნოს.“ - უთხრა.

ქალს ძალიან გაუხარდა. ბაზრობის ყოველ დღეს აღელვებული ელოდებოდა და თან ფიქრობდა: „ნეტავ დღეს რას გაუგზავნის ახალი ვაჭარი ჩემს შვილიშვილებს?“

სურა ალი იმრანი, აიათი -92.

„ვერასდროს მიაღწევთ ღვთისნიერებას, თუ არ გაიღებთ იმას, რაც გიყვართ. და რაც უნდა გაიღოთ, უეჭველად, ალლაჰმა უწყის იგი!“

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40 წმ



Muslim Georgia
International Charity
წმ

მეჩეთი

16 • 17

უცხო ქვეყანაში ძალიან ცოტა მუსლიმი ცხოვრობდა. მეჩეთიც კი არ ჰქონდათ, რომ შეკრებილიყვნენ და ელოცათ. ერთ დღესაც „ეს ასე ვერ გაგარძელებია!“

თქვეს და ქალაქში მეჩეთის აშენება გადაწყვიტეს.

ყველა საჭირო ნებართვა აიღეს, მაგრამ სად უნდა ეპოვათ მეჩეთის ასაშენებლად ფული? თავი ძლივს გაჰქონდათ.

მეჩეთისთვის დახმარების ფონდი დააარსეს. სადაც ხელი მიუწვდებოდათ, ყველგან დახმარება ითხოვეს.

თვეები გავიდა. მეჩეთისთვის აგროვებული ფულით მეჩეთს კი არა, მინარეთსაც კი ვერ ააშენებდნენ.

„ამ შემართებით არ გამოვა!“ -თქვა ერთ-ერთმა მათგანმა. „დროს ტყუილად ვხარჯავთ!“ -თქვა მეორემ. „მე თქვენ გეუბნებოდით, რომ არ გამოვიდოდა და თქვენ დაიჩემეთ!“ -თქვა სხვამ.

ყველა დაღონდა. დაიჯერეს, რომ ეს საქმე არ გამოვიდოდა. ამ დროს კი მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა სიტყვით გამოვიდა:

„მეგობრებო, ალლაჰი რას ბრძანებს? „არ მოდუნდეთ, არ დანალვლიანდეთ!“ ჩვენ სიკეთის გასაკეთებლად დავადექით ამ გზას. ალლაჰია ჩვენი დამხმარე. ადამიანი, რომელსაც მისი სიდიადის სჯერა, იმედს გადაინურავს? დანალვლიანდება? ჩვენ გარჯა გვევალება, დამხმარე კი ალლაჰია.“

ყველა შემართებით შეუდგა საქმეს.

რამდენიმე წელი არ იყო გასული და

ლამაზი მეჩეთი ააგეს, რომლის ჭერქვეშაც შეკრებას შეძლებდნენ.

შესასვლელში კი ის დღეები რომ არ დავინწყებოდათ, ეს აია დანერეს:



სურა ალი ირანი, აიათი- 139.
„სიმამაცე არ დაკარგოთ და არ დამწუხრდეთ, ხოლო თუ ხართ მორწმუნენი, უეჭველად, აღმატებულნი იქნებით!“

ძიონის ბავშვებისთვის
40-ის



საქართველოს
მუსიკის
ინტერნაციონალური
ფონდის
International charity

ჯანს კვლავები

18 • 19

ჰაქანი საზაფხულო არდადეგებს ბაბუასთან სოფელში ატარებდა. ბაბუა ზოგჯერ სალამოობით იკარგებოდა და ისევ ბრუნდებოდა.

„ბაბუა, სად მიდიხარ?“ -ჰკითხა ერთ სალამოს.

„ნიგნის წასაკითხად მივდივარ.“ -მიუგო ბაბუამ.

„ამ სიბნელეში გარეთ ნიგნს როგორ კითხულობ?“

„შვილო, ვარსკვლავების შუქზე ვკითხულობ. თუ გინდა, შენც წამოდი ამაღამ და ერთად ვკითხოთ.“ -უპასუხა.

ჩაჰკიდეს ერთმანეთს ხელი და ღამის წყვდიადში გაუდგნენ გზას. ერთ ბორცვზე ავიდნენ. ბაბუა ერთ-ერთ ქვაზე დაჯდა. ჰაქანი გაოცებული უყურებდა ბაბუას.

„ბაბუა, და ნიგნის საქმე რა იქნა?“

„აი აქაა ნიგნი. ჩვენ წინაა გადაშლილი.“ -უპასუხა ბაბუამ.

გაკვირვებული ჰაქანი აქეთ-იქეთ იყურებოდა.

„რა ნიგნი ბაბუა? აქ შენ და ჩემ გარდა არავინაა.“

„ქვეყნიერების ნიგნი შვილო.“ -უთხრა ბაბუამ.

ჰაქანი სულ მთლად დაიბნა.

„შეხედე, მთვარის შუქს შეხედე. ვარსკვლავებს შეხედე. გაჩენილთაგან ყველაფერი ალლაჰის აიებია, ანუ მისი სიდიადის მტკიცებულებებია. ეს ქვეყნიერება, ჩვენთვის წასაკითხად ბოძებული უზარმაზარი ნიგნია. ღმერთი ამბობს: „მიმხვედრთათვის აიები სათითაოდ განვმარტეთ.“ ალლაჰის აიებს უნდა შეხედო და დაფიქრდე, შემდეგ კი მისი სიდიადე უნდა ამოიკითხო.“

ჰაქანმა ბაბუას ნათქვამზე იფიქრა.

სიბნელის გამნათებლებს, მთვარესა და

ვარსკვლავებს შეხედა და

ღრმა ფიქრებს მიეცა.

სურა ენლამი, აიათი -97.

„და იგია, რომელმაც დაამყარა თქვენთვის ვარსკვლავები, რათა გზა გაიკვლიოთ იმით ხმელეთისა და ზღვის ბნელეთში. ასე დაწვრილებით განვმარტეთ აიათები (მტკიცებულებები ძღვევამოსილების) ხალხისთვის, რომელთაც შემეცნების უნარი აქვთ“.

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40-ის



www.dreamstime.com
International charity

მინა

20 • 21

ბატონი ჰაიდარი ყველასთვის საყვარელი ადამიანი იყო. მის უზარმაზარ ბაღში საუკეთესო ხილი და ბოსტნეული მოდიოდა. ისიც საუკეთესო პროდუქტს სხვების დასახმარებლად გასცემდა.

ბატონ ჰაიდარს ჰყავდა მეზობელი, ვისზე ძუნწი, გაუტანელი და აუტანელიც არავინ არსებობდა. თავის ბაღნარს არავის გააკარებდა. ორ ბაღს შორის მხოლოდ ერთი კედელი იყო. ამ მეზობლის ხილი კი ტოტებზე სწორი მიმართულებით არ იზრდებოდა. ბოსტნეული იქვე ხმებოდა.

ერთ დღესაც მეზობელმა ბატონ ჰაიდარს ჰკითხა:

„რას აკეთებ ასეთს, რომ ასეთი ბარაქიანი ბაღი გაქვს?“

„მეგობარო, მთავარი მინაა. როგორც ალლაჰი ბრძანებს, მინა თუ კარგია, ხვავი და ბარაქა იქნება. თუ მინა ცუდია, უსარგებლო ბაღახის მეტი რა გაიხარებს?“

-მიუგო ბატონმა ჰაიდარმა.

„ესეიგი ჩემი ბაღის მინას არაფერი ეშველება.“ -თქვა მეზობელმა.

ამის შემდეგ განვლო დრომ. ბატონი ჰაიდარი გარდაიცვალა. მეზობელმა მისი მინა იყიდა. დარგო, დათესა, მაგრამ ოი საოცრებავ! თითქოს ეს ის ბარაქიანი მინა არ იყო. არც ბოსტნეულმა გაიხარა და არც ხეხილმა მოისხა.

ეს კაცი გაბრაზდა. გულა-ნაბადიანად აიბარგა, მინა გაყიდა და წავიდა.

სიკვდილამდე კი არ ასვენებდა ფიქრი: „რატომ არ იყო ჩემი ბაღი ისევე ბარაქიანი?“ ნეტავ მიმხვდარიყო, რომ ბატონი ჰაიდარის ნახსენები ცუდი მინა შეიძლებოდა ცუდი გულიც ყოფილიყო.

სურა არაფ, აიათი- 58.

„მშვენიერ ქალაქში (ნოციერ მინაზე) მცენარეები უხვად ხარობენ ღმერთის ნებით, (ესა ჰგავს მორწმუნეს, რომელიც შეგონებას შეისმენს) ხოლო რომელიც ცუდია (მინა მწირია), მხოლოდ უსარგებლო რამ აღმოცენდება (ესაა მსგავსი ურწმუნოსი). ამგვარად ვმარტავთ აიათებს ხალხთათვის, რომელნიც მაღლიერნი არიან!“

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40-ის



კალენდარი

22 • 23

„ბაბუა, რომელია შენი ზოდიაქოს ნიშანი?“ -ჰკითხა მეჭთაფმა ბაბუას.

„არ ვიცი,“ -უპასუხა ბაბუამ.

„რომელ თვეში დაიბადე?“

„ძეხვის სითბოში დავიბადე.“

მეჭთაფს გაეცინა. „ძეხვის სითბოში? ეს რას ნიშნავს?“

ბაბუასაც გაეცინა. „ოქტომბერსა და ნოემბერში, მცირე ხნით მზიანი ამინდია.

ამას 'ძეხვის სითბო' ეწოდება. ძეხვი ყველაზე კარგად ამ დროს ხმება. მეც

ამ დროს დავბადებულვარ. უფრო მეტიც, პარასკევი დღე ყოფილა. ჩემი

ჰაჯი ბაბუა პარასკევის ლოცვიდან მოსულა. დარწმუნებული ვართ რომ...

ჩემი უფროსი დაც, ჩვენი საყვარელი ძროხის 'ქერა გოგოს' მშობიარობისას

გაჩენილა. ესეიგი შემოდგომაზე. ჩემი უფროსი ძმა კი მოსავლის აღების

შემდეგ დაბადებულა. ანუ ყველამ ვიცით როდის დავიბადეთ, მაგრამ ზუსტი

თარიღი არ ვიცით.“

მეჭთაფს გაეცინა. „ბაბუა თქვენს პერიოდში კალენდარი არ იყო?“

„როგორ არა!“ -უპასუხა ბაბუამ, -„რა თქმა უნდა იყო კალენდარი.

კალენდარი უხსოვარი დროიდან არსებობს. წლებისა და დღეების

გამოსათვლელად, დიადმა ალლაჰმა მზისა და მთვარის ბრუნვა

კანონზომიერად გაანანილა. ხალხმა ჭკუა გამოიყენეს, ამ ბრუნვას

დააკვირდნენ და დროის

გამოთვლა ისწავლეს.

ასე შეიქმნა კალენდარი.

ჩვენს პერიოდშიც იყო

ეს კალენდარი, მაგრამ

ისე რეგულარულად არ

გამოიყენებოდა, როგორც

ახლა. ვისაც ესაჭიროებოდა

და აინტერესებდა, იცოდა.

ახლა კი, მაშალლაჰ, ბავშვებმაც

კი იციან.“

სურა იუნუს, აიათი -5.

„იგია, რომელმაც დაადგინა მზე სხივად და მთვარე ნათელად. მან დაუდგინა სამოძრაო გზანი (ორბიტა) მათ, რათა თქვენ გცოდნოდათ ნელთაღრიცხვა და გამოანგარიშება. არ გაუჩენია ალლაჰს ყოველივე ეს, თუ არა მხოლოდ ჭეშმარიტებით. იგი განმარტავს აიათებს შეგნებულ ხალხთათვის“.

ძიონისობები
ბეჭდვებისთვის
40 ათას



ახალგაზრდა მეშეშეს, ალის, საქმიანობა ახლახანს დაეწყო. ოსტატთან ერთად ტყეში დადიოდა. ოსტატი ხან ერთ ხეს უყურებდა, ხან მეორეს. ალი ყოველ ჯერზე ცულს იმარჯვებდა ხის მოსაჭრელად. თუმცა არც ერხელ გაჟღერებულა ოსტატისგან ბრძანება „ეს ხე მოსაჭრელია!“ ალიმ ველარ მოითმინა და ბოლოს უთხრა: „ოსტატო, მოვჭრათ ბოლოს და ბოლოს რომელიმე ხე!“

„შვილო, ასე უცებ ხე მოიჭრება? ჯერ ის ხე ვიპოვოთ, რომელსაც ვეძებთ.“
-უთხრა ოსტატმა.

„როგორ ხეს ვეძებთ ოსტატო? მითხარი და მეც მოვძებნი.“

„შვილო, ცუდი სიტყვის მსგავს ხეს ვეძებთ.“

ახალგაზრდა მეშეშე ვერაფერს მიხვდა და გაოცებულმა ჰკითხა: „ოსტატო, ეს როგორ გავიგო?“

ოსტატს გაეცინა. „ალლაჰი ბრძანებს: „ცუდი სიტყვა იმ ცუდ ხეს ჰგავს, რომელიც ფესვებიანადაა ამოძირკვეული და თავის ადგილზე ვერ ჩერდება.“ ჩვენც ასეთ ხეს ვეძებთ. ხეს, რომელსაც არავისთვის მოაქვს სარგებელი, არაფრად ვარგა და არც ნაყოფს ისხამს.“

სწორედ ამ დროს, ოსტატმა მოპირდაპირე მხარეს არსებული ხისკენ მიუთითა.

„აი, სწორედ ასეთი ხე. აბა შეხედე, როგორ დაობებულია, გამომშრალა და გაშავებულია. სრულიად ჰგავს ქორს, არც საკუთარ თავს არგებს, არც სხვას.“

მოდით მოვჭრათ.“

ალიმ ცული მოიმარჯვა. როგორც ჩანს, ბევრი რამე ჰქონდა ოსტატისგან სასწავლი.

სურა იბრაჰიმი, აიათი -26.
„და ავი სიტყვის (რწმენის უარყოფელი სიტყვა) მდგომარეობა უფესვო ხის მდგომარეობას ჰგავს, რომელიც მინაზე ეცემა, რადგან საყრდენი არ გააჩნია“.

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40 ჯამა



მოხუცი მეთევზე იმ მხარეში დაოჯახებულიყო, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ბავშვები განათლების მისაღებად დიდ ქალაქებში გაუშვა. ბავშვები, სწავლის დასრულების შემდეგ, ქალაქშივე დარჩნენ. მეთევზე დროგამოშვებით ცოლთან ერთად ქალაქში მიდიოდა, ბინებში ყოფნა ბეზრდებოდათ და მალევე ბრუნდებოდნენ თავიანთ სახლში. დედის სიკვდილის შემდეგ, შვილები ცდილობდნენ მამა მათთან დაეტოვებინათ, მაგრამ მოხუც კაცს ვერაფრის დიდებით ვერ ითანხმებდნენ.

„მამა, აქ მარტო რა უნდა აკეთო?“ -ჰკითხა უფროსმა ვაჟმა.

„ვინ თქვა, რომ მარტო ვარ? ალლაჰი ჩემ გვერდითაა. სხვა ვინ მჭირდება?“ -უპასუხა მეთევზემ.

„კარგი მამა, მაგრამ რითი უნდა იკვებო, წყურვილი მოიკლა?“

-ანერვიულდა ქალიშვილი.

„აქამდე შიმშილით ხომ არ მოვმკდარვარ? აი, უზარმაზარი ზღვაა ჩემ წინ. ალლაჰმა ზღვა მიბოძა, საკვები რომ მქონოდა და მეცხოვრა. სხვა ხომ არაფერი მჭირდება?!“

„კი მაგრამ მამა, შენს ასაკში ამდენი საქმე რთულია,“ -უთხრა უმცროსმა ვაჟმა.

„ალლაჰისთვის, რომელიც უზარმაზარ გემებს ზღვებზე ატარებს, ჩემისთანა მოხუცისთვის სარჩოს გამოგზავნა იქნება რთული? არასოდეს! მხოლოდ მისგან მოველი დიდსულოვნებას და მხოლოდ მისი მადლიერი ვიქნები. მე სხვა არავინ მჭირდება.“

აშკარა იყო, რომ მეთევზე აზრს არ შეიცვლიდა.

ის, იქ იყო ბედნიერი. შვილების მოვალეობა კი, მამის ხშირად მონახულება და ყურადღების მიქცევა იყო. ერთმანეთს შეუთანხმდნენ და მონახულების დღეები გაინაწილეს.



სურა ნაჰლი, აიათი - 14.

„და იგია, რომელმაც თქვენს განკარგულებაში მოგვცათ ზღვა, რათა მიირთვათ მისგან ქორფა ხორცი (თევზი) და მოირენოთ სამკაული, რომელსაც იკეთებთ თქვენ. შენ ხედავ გემებს, რომლებიც კვეთენ მას, რათა თქვენ ეძიოთ მისი სიკეთე (უზენაესი ალლაჰის მადლი). და ეგების მადლიერნი იყოთ თქვენ!“



მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40-ის

დონორი

International Charity Foundation
muslim

წყევლა

28 • 29



რაბიას მამა რადიოს შეკეთებით იყო დაკავებული. „რაბია, წყალი მომიტანე,“ -დაუძახა შვილს.

რაბია მაშინვე სამზარეულოსკენ გაიქცა. გრაფინი აიღო თუ არა, მაშინვე მამისკენ გასწია. სწორედ ასეთ შეუსაბამო დროს, ფეხი ხალიჩას წამოკრა. რაბია ბოლო წამს გადაურჩა ძირს დავარდნას, მაგრამ გრაფინი ნამცეცეებად იქცა. მამამისი ძალიან გაბრაზდა.

„ხელი მოგტყდომოდა! რა ლამაზი გრაფინი გაანადგურე,“ -უყვირა. სწორედ ამ დროს „დონგ!“ გაისმა და რალაც მოხვდა თავში. ძალიან ეტკინა. თავზე ხელს ისვამდა, უკან მიიხედა და დედა დაინახა. ხელში ჯოხი ეჭირა და თავს დასდგომოდა.

„დედა, რატომ მირტყამ?“ -ჰკითხა შეშინებულმა.

„შენ თუ გესმის, რას ამბობ? რას ნიშნავს, ხელი მოგტყდომოდა? ალლაჰმა რომ ისმინოს ეს ვედრება, რა მოხდება?“

რაბიას მამა მოიღუშა. დაბნეულად აბლუყუნდა:

„დედა... ის... ამის თქმა საერთოდ არ მინდოდა.“


„ნეტავ რისი თქმა გინდოდა? მადლობა ღმერთს, ალლაჰმა იცის, რომ სიჩქარეში სასარგებლო რამის შევედრების მაგივრად უკეთურს ვევედრებით და ჩვენი პირიდან ამოსულ ყოველ სიტყვას არ ღებულობს!“

„მართალი ხარ დედა, მართალი. ვინანიებ და აღარ გავიმეორებ,“ -თქვა და თან დედის ჯოხს უყურებდა. შეილსაც აკოცა და მისი გული მოიგო. ამის შემდეგ მისი პირიდან წყევლა აღარასოდეს ამოსულა.

სურა ისრა, აიათი - 11.

„და ვითომც სიკეთეს ვევედრება ადამიანი, მაგრამ სიავეს მოუხმობს. და ხომ ადამიანი ისედაც ცანცარაა!“

ძიონისობები
ბავშვებისთვის
40წმ



ენთუგულება

30 • 31

ჰანდანის ბაბუა მათთან ცხოვრობდა. ძალიან მოხუცი იყო. ბევრი რამის გაკეთება აღარ შეეძლო. ხელები უკანკალებდა და საჭმლის ჭამისას, ნახევარი საჭმელი ტანსაცმელზე ეღვრებოდა. ჭამის შემდეგ კი ადგილი, სადაც იჯდა, საჭმლის ნარჩენებით იყო სავსე. ბაბუა სუფრიდან რომ ადგა, ჰანდანის მამა დაიხარა და ძირს დაყრილ ნარჩენების სათითაოდ აკრეფა დაიწყო. ჰანდანი მამისკენ მიბრუნდა და უთხრა: „ჩემი პატარა ძმაც კი არ ყრის ძირს ამდენ საჭმელს. ბაბუა ბავშვივითაა.“ ჰანდანს მამამ მკაცრად გახედა და გააჩუმა. შემდეგ კი, როცა დარწმუნდა, რომ ბაბუას არ ესმოდა, ჰანდანს მამამ მიმართა: „ჰანდან, ჩემო პატარავ, ბაბუა უკვე ძალიან მოხუცია. ძველებურად ველარ იყენებს ხელებს. ჩვენ რომ ვცდილობთ ვაჭამოთ, წყინს, რადგან მას აღარ შეუძლია. ამიტომაც, მას დაუცვივდება, ჩვენ კი ავკრებთ. დრო იყო, როცა ჩვენ გვიცვივოდა, გვეღვრებოდა საჭმელი და ის ასუფთავებდა. ალლაჰის მადლიერი უნდა ვიყოთ, რომ მას ამდენი წელი აჩუქა და ჩვენ მოგვცა შესაძლებლობა, მას დავხმარებოდით. ალლაჰი ბრძანებს: „თუ კი თქვენი მშობლებიდან რომელიმე მოხუცდება, აუგი არ უთხრათ. სულ ტკბილად ელაპარაკეთ.“ ჩვენც ალლაჰის ბრძანებას ვემორჩილებით და მამას ერთგულებას ვუჩვენებთ.“

ეს ჰანდანს ძალიან მოეწონა.

„საყვარელო მამიკო, თქვენ რომ მოხუცდებით,

არც მე

გაგიბრაზდებით,“

-უთხრა.

მამას გაეცინა.

„დიდი მადლობა

შვილო,“ -უთხრა

და აკოცა.

სურა ისრა, აიათი- 23.

„და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემდე, არ უთხრა: „უჰ!“ და არ გაუწყურე (არ დატუქსო, არ დააყვედრო) მათ და ლამაზი (რბილი სიყვავა უთხარი, პატივისცემით მოეპყარი) სიტყვა უთხარი!“



მოთხოვნები
ბავშვებისთვის
400მ



International charity fund

მოსავლის აღება

32 • 33

მოსავლის აღების დრო იყო. ჰასანის მამა იმ წელს აღებული ხორბლის მოსავლით ტომრებს ავსებდა. ერთი ტომარა გაავსო, მონიშნა. მეორე ტომარა გაავსო და ის სხვანაირად მონიშნა. მომდევნო ტომრები არ მონიშნა. დაინტერესებულმა ჰასანმა მამას ჰკითხა:

„მამიკო, ისინი რომ მონიშნე, ესენი რატომ არ მონიშნე?“

„ტომრები რომ არ არეულიყო, იმიტომ მოვნიშნე. ეს ხორბლის ტომარა, საჭიროების მქონე ნათესავებს უნდა მივცეთ. აი ეს ხორბალი კი სხვა საჭიროების მქონეებს უნდა მივცეთ. ახლავე განვაცალკევე, რომ არ აირიოს. ალლაჰი ბრძანებს: „ნათესავებს, გაჭირვებულებს და უსახლკაროებს მათი წილი მიეცით.“ ჩვენი მოვალეობაა, მათ დავეხმაროთ, ანუ ეს ჩვენი ვალია.“

„კარგი, მაგრამ უფრო მეტს რატომ არ გავცემთ? უამრავი ტომარაა. უფრო მეტი გავცეთ.“

„იმიტომ, რომ ისინი ჩვენი საკვებია. ამხელა ზამთარი ამ ხორბლით უნდა გავიაროთ. სულ რომ დავარიგოთ, ჩვენ რა დავგვრჩება?“

„კი მაგრამ, ერთი ტომრით ისინი როგორ დანაყრდებიან?“

„ვინ თქვა, რომ ერთი ტომარაა? ვინ იცის, კიდევ რამდენი გასცემს თითო ტომარას. ყველა რომ გასცემდეს,

საჭიროების მქონეებზე იმას, რაც ზედმეტად აქვს, გაჭირვებულიც არ იქნება, ხომ ასეა?“ ჰასანი დაფიქრდა.

მამა

მართალი

იყო.

ზედმეტი

რომ გასცეს

ყველამ, არავის

მოაკლდება.

სურა ისრა, აიათი -26.

„და მიეცი მისი კუთვნილი ნათესავს, ღატაკსა და მგზავრს! მაგრამ გადაჭარბებულად არ გაფლანგო!“

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40-ის



მემკვიდრეობა

34 • 35

ძალიან ძუნწი მამა ჰყავდა. წლების განმავლობაში არ ჭამდა, არ სვამდა და ფულს აგროვებდა. გამუდმებით სახლებსა და ნაკვეთებს ყიდულობდა. ამ დროს კი, მისი ვაჟი დახეული ფეხსაცმლით დადიოდა. საბრალო დედამისი მეზობლებს ტანსაცმელს უკერავდა და გამომუშავებული ფულით ცხელ საჭმელს ჭამდნენ. ვაჟს ყველა მხრიდან ესმოდა, რომ ზედმეტსახელით მიმართავდნენ. „წუნწურაქის ვაჟს“ უწოდებდნენ. ესმოდა როგორ ამბობდნენ: „საბრალო, კაცი რა მდიდარია, მაგრამ მისი ვაჟი შიმშილობს.“ გარეთ გასვლა არ უნდოდა. დედას დიდი ხანი არ უცოცხლია. მამასთან ერთად მარტო დარჩა. დრო გავიდა და მამაც გარდაიცვალა. ქონება დატოვა, რომელიც არ გამოუყენებია. ანდერძის დატოვებაც არ დაავინწყდა ბოლო ამოსუნთქვისას: „ჩემი სასაფლაოსთვის საფლავის ქვა არ გააკეთებინო, ძვირი იქნება.“

ახალგაზრდამ სახლები მის სახელზე გადაიფორმა. ყველა სათითაოდ გაყიდა. „ასე ექცევიან იმის ქონებას, ვინც გამოყენება არ იცის,“ -თქვა და მამის მოგონებაც არ დავიწყა. გაყიდა, ჭამა, იმოგზაურა. ყველაფერი გაფლანგა. მთისხელა ქონებაც კი ვერ გაუძღებდა. ამხელა ქონება გაილია. ზოგჯერ ხედავდნენ, ახალგაზრდა კაცს ქუჩაში როგორ ეძინა. ბოლოს მასაც კი ვეღარ ხედავდნენ.

„მამამისმა ფული არც თვითონ გამოიყენა, არც სხვას მოახმარა. ისე მოკვდა, რომ სარგებელი ვერ ნახა. ვაჟმა კი ვერ შეინარჩუნა და ყველაფერი გაფლანგა.“

მთელი ქალაქის სამყოფი ფული
ჰქონდათ და ორივე მშვიერი
იყო,“ -ამბობდა ხალხი მათ
ზურგს უკან.

სურა ისრა, აიათი- 29.
„და ნუ იქნები ხელმომჭირნე
(სიძუნწე არ გამოიჩინო) და
ნურც გაშლი მას ბოლომდე
(არ გადახვიდე ზღვარს
და არ გაანიავო ქონება),
თორემ იმედგაცრუებული,
გალატაკებული დარჩები!“



მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40წმ

საერთაშორისო
მუსიკის
ინტერნაციონალი

სასწორი

36 • 37

უბნის ყასაბმა მალაზიის მინაზე გააკრა აბრა „იყიდება“ და მთელ უბანს ეწყინა. „წლობით ვიმუშავე, დასვენების დრო მოვიდა,“ -ამბობდა მოხუცი ყასაბი.

მალაზიის ყიდვის მსურველი მაშინვე გამოჩნდა. ახალგაზრდა კაცი იყო. ფასზეც შეთანხმდნენ.

„მთელ უბანს ძალიან უყვარხართ,“ -უთხრა ახალგაზრდამ.

„მათი მადლიერი ვარ. ვუყვარვარ. მეც მიყვარს ისინი. აქ კარგად ვმუშაობდი. მადლიერი ვარ,“ -თქვა მოხუცმა.

„ინშალლაჰ მეც კარგად ვიმუშავებ.“

„წესს თუ მიჰყვები, შეძლებ შვილო,“ -უთხრა ყასაბმა.

„რა წესს?“

„აი ამ წესს,“ -თქვა მოხუცმა და კედელზე გაკრული ჩარჩოსკენ მიუთითა. ახალგაზრდამ შეხედა. „იქ რა წერია?“ -ჰკითხა.

„აქ სურა ისრადან ერთ-ერთი აია წერია. ალლაჰი ბრძანებს: „ანონვის დროს, სწორად ანონეთ, გამართული სასწორით ანონეთ.“ ალლაჰის ეს ბრძანება რომ არ დამვიწყებოდა, ჩარჩოში ჩავასმევინე და ჩემ წინ ჩამოვკიდე. მე ალლაჰის ბრძანებას დავემორჩილე. თან სხვებს თავი შევაცვარე, თანაც საკმაოდ ფული გამოვიმუშავე. შენც თუ მიჰყვები მის სიტყვებს, უეჭველად მსგავს შედეგს მიაღწევ. ეს ჩარჩო ჩემი საჩუქარი იქნება. ალლაჰმა უხვი მოგება გიბოძოს შვილო,“ -უთხრა.

ახალგაზრდას ერთი დღითაც კი არ დავინწყებია მოხუცის სიტყვები. ეს ჩარჩო თვალთახედვიდან არასოდეს მოუშორებია. ისიც ძალიან შეიყვარეს. ძალიან კარგად იმუშავა. სულ ალალ ფულს იგებდა.



სურა ისრა, აიათი- 35.
„როცა რამეს წყავთ,
სრულქმენით საწყაო და
ანონეთ ჭემმართად და
სამართლიანად. აი, ეს უფრო
უკეთესი და უფრო მშვენიერია
შედეგის მხრივ!“

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40 წმ



Muslim Georgia International Community

ტყუილი

38 • 39

ერთ სოფელში ცხოვრობდა მეცხვარე, სახელად სალიმი. ყველაფრის სჯეროდა, რასაც კი ეტყოდნენ. სოფლის მოსახლეობა მის ამ თვისებაზე ბევრს იცინოდა. გადანყვიტეს, მას გასთამაშებოდნენ. ერთ დღესაც, სალიმი ცხვრებს რომ აბალახებდა, ერთ-ერთი ხის ქვეშ წაუძინა. სწორედ ამ დროს, სოფლის ერთ-ერთი მაცხოვრებელი ყვირილით მივიდა მასთან. შეშინებული სალიმი ადგილიდან წამოხტა.

„სალიიმ, შენ აქ იძინე. ყვავს კი შენი ერთ-ერთი ცხვრისთვის ხელი ჩაუვლებია და მიჰყავს.“

სალიმს ძალიან გაუკვირდა. „მართლა?“

ახლავე მოვდივარ,“ -უთხრა და კაცს გაჰყვა.

მოსახვევში შეუხვიეს და დაინახა, რომ სოფლის მაცხოვრებლები მას ელოდებოდნენ. მოსახლეობამ

ის რომ დაინახა, მუცელზე ხელი მიიდო და სიცილი დაიწყო.

„სალიმ, რა მიამიტი კაცი ხარ. ყვავი ცხვარს ხელს ჩაავლებს და წაიყვანს? ეს როგორ დაიჯერე?“ -უთხრეს და ხმამაღლა იცინოდნენ.

სალიმს გაელიმა და თქვა:

„არც ისეთი მიამიტი ვარ, თქვენ რომ გგონიათ. უბრალოდ, იმის დაჯერებას, რომ მუსლიმმა ტყუილი თქვა, ვამჯობინე დამეჯერებინა,

რომ ყვავმა ცხვარს ხელი ჩაავლო და

გაიტაცა, ალბათ თქვენ ეს აია არ

გსმენიათ: „არასოდეს თქვა რომ იცი

ის, რაშიც დარწმუნებული არ ხარ,

რადგან ამაზე თვალი, ყური და გული

აგებენ პასუხს.“ თორემ, რომ იცოდეთ,

ხომ აღარ მოიტყუებდით. მოსახლეობას

ძალიან შესცხვა და სალიმს ბოდიში

მოუხადა. მას შემდეგ ტყუილი აღარ


უთქვამთ.



სურა ისრა, აიათი -36.

„არ მისდიო იმას, რისი ცოდნაც არ მოგეპოვება შენ. უეჭველად, ყურის, თვალის და გულისგან, ყველასგან პასუხი მოეკითხება!“ (მის პატრონს ალლაჰისა!“)

ძიონისობები
ბეჟმეჟებისთვის
400



პროფესორი

40 • 41

უნივერსიტეტში ახალი პროფესორი მოსულიყო. მოსვლამდე უკვე ცნობილი იყო. ადრეულ ასაკში გამხდარიყო პროფესორი. თავის სფეროში მთელი მსოფლიოს მასშტაბით იყო ცნობილი. მის პირველ ლექციაზე უზარმაზარი აუდიტორია სრულად შეივსო.

ახალგაზრდა პროფესორი შიგნით რომ შევიდა, ვერავინ მიხვდა, რომ ლექტორი იყო. აუდიტორიაში მყოფთ თბილად გაუღიმა, მიესალმა და თავი გააცნო. ეს სიტბო და გულწრფელობა მთელი წლის მანძილზე გაგრძელდა. აუდიტორია, სადაც ლექციას კითხულობდა მუდამ ბოლომდე ივსებოდა. ბოლო ლექციაზე, გამომშვიდობების დროს, ერთ-ერთმა სტუდენტმა მიმართა:

„პატივცემულო, მთელი წელი თქვენთან ერთად გავატარეთ და ჯერ კიდევ თქვენი თავმდაბლობით გვატყვევებთ. თქვენ ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, სიამაყის გამო ახლოსაც კი არ მიგვიკარებდა.“

ლექტორს გაეცინა. მის უკან ჩამოკიდებულ შავ დაფას ცარცის ბოლოთი შეეხო.

„თუ ჩავთვლით, რომ ეს დაფა სამყაროა, თუ იცით მეგობრებო, ეს პატარა წერტილი რა არის? ეს დედამიწაა. მე კი ამხელა დედამიწაზე ერთი წერტილიც კი არ ვარ. როგორც ალლაჰი ბრძანებს, მე მინას ვერასოდეს გავუტოლდები და ვერც მთებს მივწვდები. ამ წესრიგის შემქმნელ ალლაჰთან გაამაყება რას მარგებს?“

იმ წლის სტუდენტებმა მთელი ცხოვრების მანძილზე დასამახსოვრებელი გაკვეთილი მოისმინეს.

სურა ისრა, აიათი -37.

„და არ იარო ქვეყანაზე
ამაყად, უეჭველად, შენ ვერ
გახვრეტ დედამიწას და ვერ
ანწვდები მთებს სიმაღლით!“

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40 წმ



სტუმარი

42 • 43

ახალდაოჯახებულ წყვილს პირველი სტუმარი ესტუმრა. სტუმარს სახლი დაათვალიერებინეს. ყველაფერი დეტალებამდე კარგად მოეფიქრებინათ და ფული არაფერში დაუზოგავთ.

„ძალიან ლამაზი სახლი გაქვთ, მაგრამ ძალიან დიდი ნაკლი აქვს,“ - უთხრა სტუმარმა.

„რა ნაკლი აქვს?“ - ჰკითხა გაცემულმა ახალგაზრდამ.

„აი ეს!“ - თქვა სტუმარმა და საჩუქარი გაუნოდა. სიხარულით გახსნეს შეფუთვა. ფირფიტა გამოჩნდა, რომელსაც მაშალლაჰ ეწერა.

„ოი ალლაჰ! ადგილი არ არის, ეს რომ დაგვიდოთ,“ - თქვა დიასახლისმა.

„აღბათ თქვენ იმ კაცის ისტორია არ გსმენიათ, მაშალლაჰ რომ არ თქვა და მთელი ქონება დაკარგა,“ - თქვა სტუმარმა. „როგორც დიადი ალლაჰი ყურ'ანში ბრძანებს, ორ მეგობარს საერთო კავშირები ჰქონდა. ერთ-ერთის კი მეორეზე თვალსაჩინო იყო. ერთ დღეს, უფრო მდიდარმა მეგობარს თავისი ქონების სიუხვეზე უამბო. მეგობარმა კი უთხრა: „მაშალლაჰ! ძალა მხოლო ალლაჰის ხელთაა, თქვი.“ კაცმა ყურადღება არ მიაქცია. ფიქრობდა, რომ დიდძალი ქონება თავისი მდგომარეობის გამო ჰქონდა და არაფერი ემუქრებოდა. ალლაჰმა კი კაცის ქონება მიწასთან გაასწორა. კაცმა ინანა საქციელი, მაგრამ გვიანი იყო.“

„ღმერთმა დაგვიფაროს,“

- თქვა ახალგაზრდამ.

„უკეთესი იქნება,

ამ ფირფიტას აქ თუ

ჩამოვკიდებთ.“

შესასვლელში გაკრული

სურათი ჩამოხსნა და

მაშალლაჰის ფირფიტა

დიდი რუდუნებით

მოათავსა, რომელსაც

სახლიდან აღარასოდეს

მოიშორებდა.

სურა ქეჰფი, აიათი -39/40.

„როცა შეხვედი შენს ბაღში, რატომ არ თქვი: „რაც ინება ალლაჰმა! არ არის ძალა, გარდა ალლაჰისა!“ რომც მხედავდე მე ნაკლები ვიყო შენზე ქონებითა და შვილებით. (რატომ გგონია, რომ ეს ყველაფერი შენი დამსახურებულია) ეგების ჩემმა ღმერთმა მე მიბოძოს უკეთესი შენს ბაღზე და მოავლინოს მასზე (შენს ბაღზე, ურწმუნო ადამიანო!) ზეციდან მრისხანება, მაშინ იქცევა იგი ფიქალ მიწად“.

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40-ის



International muslim georgia uolproou
muslim georgia
International charity foundation

და-ძმა

24 • 25

ჩიდეგი სკოლიდან რომ დაბრუნდა, კარი ბებიამ გამოაღო. „დედა სადაა?“ -იკითხა გაოცებულმა. „საავადმყოფოშია. დღეს შენი და ან ძმა მოვა,“ -უპასუხა ბებიამ. ჩიდეგმა არ იცოდა სიხარულისგან რა გაეკეთებინა. სალამოს მშობლები ერთად მოვიდნენ. მამას ხელებში ვარდისფერ სახვევეში გახვეული ბავშვი ეჭირა.

„რა კარგია, ჩემი და მოვიდა,“ -იყვირა ჩიდეგმა.

მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს. „ბავშვმა სიურპრიზი მოგვიმზადა. ეჭიმებს გოგონა ეგონათ, მაგრამ ბიჭი დაიბადა,“ -უთხრა დედამ.

გაოცებულმა ჩიდეგმა, ლამის ენა გადაყლაპა.

„რა? ბიჭი? აბა გოგო უნდა ყოფილიყო და ერთად სახლობანა უნდა გვეთამაშა. არ მაინტერესებს! არ მაინტერესებს! მე ძმა არ მინდა!“ -დაიწყო ყვირილი.

„ჩემო ჩიდეგ, ვიცი ძალიან გაგიკვირდა. ჩვენც გავოცდით.

აღლაპი როცა ისურვებს გოგონას, როცა ისურვებს ბიჭ შვილს გვაძლევს.

ჩვენთვის კი ასეთი საყვარელი ბიჭუნას ბოძება ისურვა. შენთვის კი რა კარგი ძმა გამოუგზავნია. ახლა რომ ვთქვათ,

რომ ის არ გვინდა, შენს ძმასთან ხომ სირცხვილი იქნება?“ -უთხრა დედამ. ჩიდეგმა სახვევეებში გახვეულ ბავშვს შეხედა. მართლა ძალიან საყვარელი იყო. შუბლზე აკოცა. „არაუშავს,

სახლობანას მაგივრად დამალობანას ვითამაშებთ,“ -თქვა.



სურა შურა, აიათი -49.

„აღლაპისაა მეუფება ცათა და ქვეყნის. აჩენს, ინებებს რასაც; სჩუქნის ასულებს, ინებებს ვისაც და სჩუქნის ძეებს, ინებებს ვისაც“

მოასწორობი
ბავშვებისთვის
40წმ



914
International Char

ღამე

46 • 47

მეორე დღეს მათემატიკის წერიტი გამოცდა იყო. სერქანი და სალიპი გულმოდგინედ მეცადინეობდნენ. შუა ღამე მოახლოვებულიყო. ერთ ამოცანას ვერ ხსნიდნენ. ბევრი ინვალეს და მაინც ვერაფერი მოუხერხეს.


„აი დარწმუნებული ვარ, რომ მასწავლებელი ამის მსგავსს შეგვეკითხება,“ -თქვა სერქანმა. „მართალი ხარ. ახლა დავიძინოთ, დილით ადრინად გავიღვიძოთ და ისევ გადავხედოთ,“ -უთხრა სალიპმა.

„ხომ არ შეიშალე? რას ქვია დავიძინოთ? გამოცდის წინა ღამეს დაძინება სად გაგონილა? მე არასოდეს ვიძინებ. დილამდე ვიმეცადინებ, თორემ დაბალ ქულას მივიღებ. პირველ წერიტზე ისედაც დაბალი ქულა მყავდა.“

„მაშინ შენ იმეცადინე. მე უნდა დავიძინო. ჩემი ბაბუა ამბობს, რომ ალლაჰმა ღამე ძილისთვისა და დასვენებისთვის, დღე კი შრომისთვის შექმნა. ყურ’ანშიც კი ასე ყოფილა დაწერილი. დავისვენოთ, რომ ნაყოფიერად ვიმუშავოთ.“ სერქანმა არ მოუსმინა. დილამდე იმ ამოცანაზე წვალობდა. თუმცა, ვერც ამოცანა ამოხსნა და ვერც სხვა საკითხი იმეცადინა. სალიპმა დილით რომ გაიღვიძა, ამოცანას გადახედა. „ეი, ეს როგორ ვერ შევამჩნიეთ?“ -თქვა და მაშინვე ამოხსნა. სერქანი გაოგნებული იყო.

გააგრძელეს მეცადინეობა, მაგრამ სერქანს ენერგია აღარ დარჩენოდა და ვერაფერს ხვდებოდა.

სერქანმა გამოცდა ვერ ჩააბარა. უფრო მეტიც, გამოცდაზე დროგამოშვებით თვლემდა. რაც მთავარია, ეს მისთვის კარგი გაკვეთილი გამოდგა. ამის შემდეგ, ასე მარტივად აღარ მიიღებდა დაბალ ქულას.



სურა ფურყანი, აიათი -47.
„იგია, რომელმაც დაადგინა თქვენთვის ღამე საბურველად, ძილი - მოსასვენებლად, და დღე კი - გამოსაცოცხლებლად!“

ოსტატი

48 • 49

ოსტატი ველი, რადიატორის შესაკეთებლად, ყავახანაში მისულიყო. რადიატორის შეკეთებისას, მისდა უნებურად, უკანა მაგიდაზე მსხდომი ხალხის საუბარი მოესმა. ოთხი თუ ხუთი კაცი დამჯდარიყო და რალაცებზე ხმამაღლა საუბროდა. ხან ჭორაობდნენ, ხან ვინმეს დასცინებდნენ, ათას ადგილას მოსმენილ სისულეებს ამბობდნენ და ტყუილ-უბრალოდ საუბრობდნენ. ყოველი თემის შემდეგ ხმამაღალი სიცილი გაისმოდა. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მათგანი იმდენად შევიდა აზარტში, რომ ლაპარაკი არ იკმარა, ფეხზე წამოდგა და ვილაც კოჭლის მსგავსად დაიწყო სიარული. არც ის გამორჩენია, რომ მიმიკები შეეცვალა და სასაცილო გამოსვლოდა. იქ მყოფები მუცელზე ხელს იდებდნენ და ისე იცინოდნენ. ოსტატი დამწუხრდა. შეეცადა მათი საუბრისთვის ყურადღება არ მიექცია და თავისი სამუშაო დაასრულა. „ჩემი საქმე დავასრულე,“ -უთხრა ყავახანის მეპატრონეს.

უკანა მაგიდაზე მჯდომმა ყავახანის მეპატრონემ უთხრა: „მოდი ოსტატო. ყავით გაგიმასპინძლდები. ძალიან სასაცილო მეგობრები არიან. დღეს სიცილით ლამის დავიხოცეთ. არ გამოტოვო!“

ოსტატი ძალიან დალლილიყო, ყავისთვის უარის თქმის მდგომარეობაში არ იყო, მაგრამ აია გაახსენდა, რომელსაც ალლაჰი მორწმუნეების ქებისას ბრძანებს: „ტყუილ-უბრალო საუბარს ყურს რომ მოკრავენ, იქაურობას გაეცლებიან.“ „საქმე მაქვს, ვერ დავრჩები,“ -უთხრა. გასამრჯელო აიღო და თავისი გზა გააგრძელა.

სურა ყასასი, აიათი- 55.

„და როს გაიგონებენ ფუჟსიტყვაობას, ზურგს აქცევენ და ამბობენ: „ჩვენ - ჩვენი საქმეებით, თქვენ - თქვენი. მშვიდობა თქვენდა! ჩვენ არაფერი გვესაქმება უმეცრებთან!“

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40%



muslim.ge
914
international charity foundation

ექიმი

50 • 51

გარეუბნის ექიმი იყო. მისი აურის გამო, ვერ მიეკარებოდი. სულ მოლუშული სახითა და ცალ მხარეს ანეული წარბით დადიოდა. არავის უყვარდა. ავადმყოფებიც კი მხოლოდ მაშინ მიდიოდნენ, როცა გაუსაძლის მდგომარეობაში იყვნენ. ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ სიკვდილის ეშინოდათ. სიმართლე რომ ითქვას, წყინდა, არავინ რომ ელაპარაკებოდა. თუმცა, არც ის იცოდა, ეს როგორ გამოესწორებინა. ერთ დღესაც, ფეხსაცმლის მაღაზიაში წავიდა, ფეხსაცმლის შესაძენად. მის შემდეგ მაღაზიასთან ბევრი მოვიდა, მაგრამ შიგნით რომ დაინახეს, აღარ შევიდნენ. წასვლისას ფეხსაცმლის გამყიდველს ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად უთხრა: „ბევრი მყიდველი დაგიფრთხე.“

„შევამჩნიე შვილო,“ -უთხრა გამყიდველმა.

„ვერ ვხვდები, რატომ არ უყვარვარ. ამხელა ექიმი კაცი ვარ. ხალხისთვის სარგებლის მეტი რა მომაქვს? რამდენი წელი გავიდა. ისინი კი ვერაფრით შემეჩვივნენ. ალბათ იმიტომ, რომ აქაური არ ვარ.“

გამყიდველმა ექიმს შეხედა. ბევრი იფიქრა, ეთქვა თუ არა. ბოლოს კი უთხრა: „აღლაპი ბრძანებს: „ნუ მოიღუშები და ისე ნუ აქცევ ხალხს ზურგს, თითქოს ამცირებდე, დედამინაზე გაამაყებული ნუ ივლი! აღლაპს ამაყი და ბაქია ხალხი არ უყვარს.“ ხალხს ეყვარება ის, ვინც აღლაპს არ უყვარს?“ ექიმი მოსმენილმა გააოგნა. გაცოფებულს უნდა ეთქვა „რა სისულელეა! შენ ვინ ხარ რომ...“ და უცებ გაჩერდა. დიახ, ფეხსაცმლის გამყიდველი მართალი იყო. ძალიან ამაყი იყო. ამიტომაც არავის უყვარდა. თავის

შეცდომას მიხვდა. გადაწყვიტა, რომ

შეცვლილიყო. გამყიდველსაც

მადლობა გადაუხადა,

რომ თავისი შეცდომის

გაცნობიერებაში

დაეხმარა.

სურა ლოყმანი, აიათი- 18.

„არ იბრუნო პირი

ადამიანებისგან ქედმაღლობის

გამო და არ იარო ქვეყანაზე

მედიდიურად. უეჭველად,

აღლაპს არ უყვარს

თავმომწონე, ამაყები!“

ძიონისობები
ბავშვებისთვის
40



ცხოველები

52 • 53

მასწავლებელმა, დავალებად, ცხოველებზე თავისუფალი თემის დაწერა დაავალა. ელიფი მთელი საღამო თავისუფალ თემაზე მუშაობდა. მეორე დღეს, მასწავლებელმა დავალება რომ მოიკითხა, პირველი მან ასწია ხელი თემის წასაკითხად. მასწავლებელმა სიტყვა მას დაუთმო. ელიფი ფეხზე წამოდგა. აღელვებულმა დაწერილის წაკითხვა დაიწყო:

„ცხოველები ძალიან ლამაზები არიან. ალლაჰმა ისინი ჩვენთვის შექმნა. ჩვენთვის ბევრი სარგებელი მოაქვთ. მაგალითად: ძროხის რძეს ვსვამთ. ცხვრის მატყლით ბებია სვიტერს გვიქსოვს და ზამთარში არ გვცივა. ქათმის კვერცხი ძალიან ნოყიერია და მეც ძალიან მიყვარს. საუზმეზე კი ძალიან კარგია. ფუტკრის თაფლი ძალიან ძვირია, მაგრამ ჭამით ვერ გაძღები. ძაღლები ძალიან კარგი მეგობრები არიან. ჩვენს საიდუმლოებებს არავის ეუბნებიან. და კიდევ, ცხენები ტვირთს ეზიდებიან. ცხოველებს ძალიან კარგად უნდა მოვექცეთ. ალლაჰს არ უნდა, რომ ისინი გავანაწყენოთ და ვატკინოთ. უნდა დავუმეგობრდეთ. არ უნდა ვანწყენინოთ. უნდა გვიყვარდეს.“

„ძალიან კარგად დაგინერია,“ -უთხრა მასწავლებელმა. „კი მაგრამ, ის ცხოველები სად არიან, რომელთა ხორცსაც ვჭამთ? არ გიხსენებია.“

სურა ნაჰლი, აიათი- 5.

„და ცხოველებიც გააჩინა თქვენთვის, მათშია სითბო (მათი მატყლისგან და ბუნვისგან სამოსს იკეთებთ) და სარგებელი (მას იყენებთ საკვებად და შესაჯდომად, ასევე მიწის დასამუშავებლად), და თანაც მიირთმევთ მათგან“.

ელიფმა სწრაფად გადაავლო თემას თვალი. მართლა დავინწყებოდა იმ ცხოველების დაწერა, რომლის ხორციც იჭმევა.

მდგომარეობის გამოსწორება სცადა:

„მასწავლებელო, ისინი ვჭამეთ და გაქრნენ, ამიტომაც არ ვახსენე,“ -თქვა და მთელი კლასი ახარხარდა.



მოთხოვნები
ბავშვებისთვის
4000



muslimcharity.org
International charity

ახალი მთვარე

54 • 55

დაძინებამდე ჰასანს გაახსენდა, რომ ნაკვეთში დღისით ერთ-ერთი მანქანა დარჩენოდა. დედას ნება სთხოვა, რომ წასულიყო და მოეძებნა.

„შვილო, ზიფირს ამ სიბნელეში როგორ იპოვნი? დილით ნახავ,“ -უთხრა დედამ.

„დედა, მთვარის შუქი საკმარისია,“ -არ შეეპუა ჰასანი.

„აბა ფანჯრიდან გაიხედე, ცაზე მთვარე არის?“

ჰასანმა ფანჯრიდან გაიხედა. მართლაც არ იყო მთვარე. უფრო მეტიც, ღრუბელიც კი არ იყო, რომ დამალულიყო.

„სად არის ეს მთვარე?“ -იკითხა დაინტერესებულმა. დედას გაეცინა: „დღეს ახალი მთვარის დღეა. მთვარე არ გამოჩნდება. არ იდარდო, ერთ ან ორ დღეში უკან დაბრუნდება.“

ჰასანმა მანქანის ძებნაზე ხელი აიღო. თავში მთვარე უტრიალებდა.

დამდამობით ცას შესცქეროდა. ერთი-ორ დღეში მთვარე გამოჩნდა.

„მართლა მოვიდა მთვარე,“ -უთხრა დედას გაოცებულმა. „რა თქმა უნდა

მოვა,“ -უთხრა დედამ. „ადამიანი ხომ არ არის, რომ შეიცვალოს? ეს ალლაჰის

შექმნილი წესრიგია. არ შეიცვლება. ალლაჰი ბრძანებს: „მთვარის ბრუნვისთვის

შესაფერისი ადგილები ავარჩიეთ. ის აუცილებლად მოხრილ, გამხმარ ხურმის

ხეს დაემსგავსება.“ აი შეხედე, ცაზე ტოტივით მოჩანს. დილით მზე ამოდის,

სალამოს კი მთვარე ჩნდება. არაფერი ცდება თავის დროს. ეს ყველაფერი

ყოვლისშემძლე ალლაჰის ნამოქმედარია. რა თქმა უნდა მათთვის, ვინც

ამაზე დაფიქრდება

და მიხვდება.“ ჰასანს

ძალიან გაუკვირდა. ვინ

იცის, კიდევ რამდენი

ჯადოსნობა

იმალებოდა

მზესა და

მთვარეში,

რომლებსაც

ყოველ დღე

ხედავდა.

სურა იასინი, აიათი- 38/39/40.

„და მზე დაცურავს თავის სამოძრაო

გზაზე (ორბიტაზე). სწორედ ესაა

ძლევამოსილის, ბრძენის განგება!

და დავუდგინეთ მთვარეს ფაზები.

სანამ იგი არ გახდება მოხრილი,

ჰალმის ხის ტოტსავით!

ვერც მზე დაენწევა მთვარეს და ვერც

ლამე გაასწრებს დღეს. ყველა თავის

სამოძრაო გზაზე დაცურავს“.

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40 წლის



Muslim Georgia
International Charity Foundation

არჩევნები

56°57

ქალაქის მერმა არჩევნები როგორც კი მოიგო, ხალხის დასახმარებლად ხელები აიკაპინა. რეგიონის განვითარებისთვის დღესა და ღამეს ასწორებდა და მუხლჩაუხრელი შრომობდა. თუმცა შემდეგ არჩევნებზე, გასაკვირად, არჩევნებში დამარცხდა.

ძალიან ეწყინა, მაგრამ არც ძალიან უდარდია. მის ცოლს უფრო ეწყინა. ყოველ წუთს გაიძახოდა: „რამდენი ემსახურე, ეს როგორ გაგიკეთეს?“ „ეი ცოლო, დიადი ალლაჰი რას ბრძანებს? „ადამიანს სარჩოს რომ მივცემთ, პირს იბრუნებს და სხვაგან გაიხედავს.“ ადამიანი შემოქმედს აქცევს ზურგს, რომელმაც უთვალავი სარჩო გამოუგზავნა და მე არ მაქცევს ზურგს, რახან რამდენიმე წელი ვემსახურე? ცოტა მოითმინე, ყველა ისევ აქ მოვა, რომ კენჭი ვიყარო.“

ცოლმა არ დაიჯერა. ახალმა მერმა რეგიონის დასახმარებლად თითოც კი არ გაანძრია. ახალ ვადაში რეგიონში არაფერი გაკეთებულა. შემდეგი არჩევნები რომ მოახლოვდა, ყველა ძველ მერთან მივიდა და ევედრებოდა, რომ ისევ ეყარა კენჭი. „საიდან იცოდი, რომ ასე მოხდებოდა?“ -ჰკითხა ცოლმა. „რა არის ამაში გამოუცნობი? შენ ხომ გითხარი აია - „ადამიანს სარჩოს რომ მივცემთ, პირს იბრუნებს და სხვაგან გაიხედავს.“, სწორედ

ამის გაგრძელებაა
- „ადამიანის თავს
ცუდი რომ გადახდება,
ხვეწნა-მუდარას
დაიწყებს.“ -სიცილით
თქვა ძველმა მერმა.

სურა ფუსსილეთი, აიათი -51.
„და როცა ადამიანს (ურწმუნოს)
წყალობას ვუბოძებთ, პირს
იბრუნებს (ნარმართებისაკენ,
ურწმუნოებისაკენ) და გაიძურნება
(უზენაეს ალლაჰს არ შესწირავს
მადლობას, უამრავი წყალობის
სანაცვლოდ.). და თუ სიავე მიეწევა,
ინყებს გაუთავებელ ვედრებას“.



მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40 ლა



ქარავანი

58 • 59

ბატონი მუსა ნაკვეთში რომ მუშაობდა, დაინახა, სისხლიანი და ოფლიანი კაცი მორბოდა.

„ეი უცხოელო, მშვიდობაა? საით მირბიხარ?“ - ჰკითხრა.

„არ მკითხო. ამ მთის იქით ქარავანით მივდიოდით. მგლებმა შემოგვიტიეს. ბევრი დაჭრილია. მე ძლივს გადავრჩი. დახმარების მოსაძებნად წამოვედი. ძალიან გთხოვ, სოფლის მოსახლეობას ხმა მიაწვდინე და დასახმარებლად უხმე,“ - უთხრა კაცმა.

„კარგი. შენ გაიქეცი, მე მოსახლეობას შეკრებ და გამოგყვები,“ - უთხრა აღელვებულმა ბატონმა მუსამ.

სოფლის მოედნისკენ მირბოდა და უცებ უცხო კაცის სიტყვებმა დააეჭვა. არ უნდოდა ერთხელ ნანახი, ვინ იცის როგორი კაცის სიტყვების გამო, მთელი სოფლის ფეხზე დაყენება. შეჩერდა, დაფიქრდა და უკან დაბრუნდა. იმ მთისკენ მიდიოდა, კაცმა რომ აჩვენა და უცებ რას ხედავს? ის კაცი, სისხლიანი, ოფლიანი და აფორიაქებული, ნაკადულთან წამონოლილა, ხელში ერთი

მტევანი ყურძენი უჭირავს და ნებივრობს. ბატონი მუსა კაცს განზრახვას მიუხვდა. შეშა აიღო ხელში და კაცისკენ გასწია.

„შე უსირცხვილო, შენი ჭკუით მთელ სოფელს ჩემი ხელმძღვანელობით მთებში გაგვრეკავდი და სოფელი უნდა გაგეძარცვა! მე შენ გიჩვენებ სეირს!“ - უთხრა.

კაცს თვალები

გაუფართოვდა.

ისე მოკურცხლა

ადგილიდან,

სანდლებიც კი არ

აულია.

სურა ჰუჯურათი, აიათი -6.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუკი მოვა თქვენთან გზასამცდარი რაიმე ამბით, მაშინვე გამოიკვლიეთ, რათა არ უქმნათ სიამე ხალხს უმეცრებით და მერე არ ჩავარდეთ სინანულში იმის გამო, რაც გააკეთეთ“.

ძიონისობები
ბავშვებისთვის
400



საქართველოს
საერთაშორისო
ჩარბიტატი
International charity
საქართველოს
საერთაშორისო
ჩარბიტატი
International charity

დაკარგული ფული

60 ° 61

კლასის ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად ფულს აგროვებდნენ. ფულის შეგროვება შეიძას მოვალეობა იყო. შეიძამ ჩანთაში ხელი ჩააცურა და რას ხედავს? ფული აღარაა.

„მასწავლებლო, ფული დაიკარგა!“ - იყვირა. „ყველამ დატოვოს ჩანთა და დაფასთან გამოვიდეს!“ - თქვა მასწავლებელმა. რიგის მიხედვით ჩანთების შემოწმება დაიწყო. სულ ცოტა ხანში, ერთ-ერთ ჩანთაში შეხვეული ფული იპოვა. „ეს ვისი ჩანთაა?“ - იკითხა მასწავლებელმა.

„ჩემი ჩანთაა, მაგრამ ფული მე არ ამიღია,“ - თქვა გაოცებულმა იუსუფმა. მასწავლებელმა აღმაცერად გახედა. „როგორც ჩანს გაუგებრობა მოხდა. გთხოვთ, მსგავსი რამ აღარ მოხდეს,“ - თქვა.

იუსუფმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ფული არ აუღია. თუმცა, როგორც ჩანს, არავინ დაიჯერა.

იუსუფს ღამე დარდისგან არ დაეძინა. ბოლოს ხელები გაშალა და თქვა: „ჩემო ალლაჰო, შექველია შენ ყოველი სიმართლე იცი და ყველაფერი სამართლიანად გაგეგება. იცი, რომ უდანაშაულო ვარ.

გვედრები, ამ განსაცდელისგან მიხსენი.“

მეორე დღეს, მასწავლებელი საკლასო ოთახში შევიდა თუ არა, თქვა: „მეგობრებო, ერთ-ერთი თქვენგანი ჩემთან მოვიდა. აღიარა, რომ ფული აიღო და რომ არ გამოეჭირათ, ფული იუსუფის ჩანთაში ჩააგდო.

სახელს არ ვასახელებ, რადგანაც ნანობს საკუთარ საქციელს.

თქვენგან პატიებას ითხოვს. ახლა კი მე საკუთარი და თქვენი სახელით, არასწორი წარმოდგენის გამო, იუსუფს ვუხედი ბოდიშს.

ინშალლაჰ გვაპატიებს. რას იტყვი იუსუფ?“

იუსუფს თვალები გაუნათდა და გულში თქვა: „ყოვლისშემძლე შემოქმედის მადლიერი ვარ.“



სურა ჰუჯურათი, აიათი - 13.

„შექველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. შექველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!“

მოთხოვნები
ბავშვებისთვის

40-ის



წვიმა

62°63

დიდმა გვალვამ და შიმშილმა მოიცვა ირგვლივ ყველაფერი. თვეების მანძილზე, ციდან ერთი წვეთიც კი არ ჩამოვარდნილა. მზეც ძლიერ აცხუნებდა. გარეუბანმა ბოლო გამოსავლად წვიმის ვედრების წარმოთქმა გადაწყვიტა. ერთ გორაკზე შეიკრიბნენ. ვედრება უნდა დაეწყოთ და ამ დროს, უბნის გონებით ჩამორჩენილი ახალგაზრდა, ჰალილი, დიდი ქოლგითა და ყვირილით მორბოდა: „შეჩერდიით, შეჩერდიით, უჩემოდ არ დაიწყოთ.“

მოსახლეობამ ის რომ დაინახა, გაეცინა. „უი მისი ვედრება შესმენილია და დასველება დადარჩა. ქოლგაც აულია და წამოუღია,“ - ჩურჩულებდნენ და იცინოდნენ ერთმანეთში.

ჰალილი რომ მოვიდა, გარეუბნის ბოლოდან მოსულებიდან ერთ-ერთმა ვედრების წარმოთქმა დაიწყო. „ეი შემბრალებელო, უხვო ალლაჰო. მკვდარი გარეუბნის გამოსაცოცხლებლად ქარს ხომ მძიმე ღრუბლების დაძვრასა და წყლის გამოგზავნას უბრძანებ. უეჭველად, ყველაფრის ძალა შეგწევს. გვჯერა, გვწამს. გევედრებით, ჩვენც წვიმა გამოგვიგზავნე.“

აამიინ წარმოთქვა ყველამ ერთად. რამდენიმე წუთი არ გასულიყო, რომ ცა შავი ღრუბლებით დაიფარა. წამში ციდან წვიმის დიდი ნაკადი წამოვიდა. თავდაპირველად სოფლის მოსახლეობას გაუხარდა და რომ მიხვდნენ, დასველდებოდნენ, სახლებისკენ გაიქცნენ. მხოლოდ ჰალილი მიაბიჯებდა თავისი ქოლგით სახლისაკენ ნელ-ნელა. წვიმამ სამი დღისა და ღამის განმავლობაში გარეუბანი დაამსუყა. ბუნება გამოცოცხლდა. ცხოვრება ძველებურ რიგმს დაუბრუნდა.

სურა არაფი, აიათი -57.

„და იგია, რომელიც აგზავნის თავისი წყალობის წინ ქარებს მახარობლად და როცა დამძიმებულ ღრუბელს დაძვრავენ ისინი, ჩვენ მათ გადავისვრით მკვდარი მიწისაკენ და მისგან წყალს გარდმოვავლენთ. ასე აღმოვაცენებთ მისით ყოველგვარ ნაყოფს. ამგვარად ვაცოცხლებთ მკვდრებს, ეგების იყოთ გონებამახვილნი!“ (და ირწმუნოთ)

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40-ის



ჯანტოფილის თავი

64 • 65

ერენი ძველ სათამაშოებს რომ ათვალთვლებდა, მამის ნაჩუქარი კარტოფილის თავი იპოვა. მას შემდეგ წლები გასულიყო. აღარც კი ახსოვდა, რომ იქ იყო.

კარტოფილის თავის ორგანოების განლაგება დაიწყო. თავდაპირველად, თვალები და ყურები მიამაგრა. „კარგია, მაგრამ ასე რომ დარჩეს, წინ როგორ გაიხედავს ეს დიდი თავი?“ - გაიფიქრა სიცილით. ცალი თვალი პირის ადგილას დაამაგრა, მეორე კი - ყურის. ყური თვალის ადგილას დაამაგრა, პირი კი - მის გვერდით. რომ შეხედა, ძალიან მახინჯი იყო და გაიცინა. თავზე ფეხები დაამაგრა. „ცოტა ამობრუნებულმა იაროს,“ - თქვა. შემდეგ კი საკუთარი თავი წარმოიდგინა ასე. ვინ იცის, რამდენად მოსაბეზრებელი იქნებოდა ამობრუნებული სამყარო. ხუთი ნაბიჯი ერთად რომ გადაედგა, თავბრუ დაეხვეოდა. მთელი ცხოვრება ამოყირავებული სიარული შეუძლებელი იყო. ამჯერად პირი თმის ადგილას მიამაგრა, თვალები კი - მკლავების ადგილას. „შეუძლებელია დაინახოს, თუ რას ჭამს,“ - თქვა. დიდი ხანი აბრუნა კარტოფილის თავი.

უკეთესი ვარიანტი ვერ იპოვა. ყველა ორგანო მისი ადგილას მიამაგრა. „აი ახლა კი ძალიან ლამაზია,“ - გაიფიქრა. ცოტათი რომ წამოიზრდებოდა, ამ აიას ნაკითხვისას ის დღე გაახსენდებოდა და გაეცინებოდა: „აღლაჰმა მოგცათ თქვენ ფორმა და ეს ფორმებიც ლამაზად შექმნა.“



სურა თელაბუნი, აიათი- 3.
„გააჩინა ცანი და დედამინა
ჭეშმარიტებით. და
გამოგსახათ თქვენ, შემდეგ
მოგანიჭათ საუკეთესო ფორმა.
და მასთანაა მისაქციელი!“

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40წმ



უპატრონოთა თავშესაფარი

66 • 67

დღეების განმავლობაში, ტელევიზორში, ახალ ამბებში, პატარა რეგიონში არსებული უპატრონოთა სახლის ამბები ტრიალებდა. ეკრანზე ბავშვების სახეზე ასახული ბედნიერება იკითხებოდა.

„ჩვენი დირექტორი, ჩვენი მამა, რაც მოვიდა, მას მერე ჩვენი საცხოვრებელი ძალიან ლამაზია. ის იმდენად გვიყვარს, რომ ჩვენთვის ნამდვილი მამასავითაა,“ - ამბობდნენ.


ბატონ დირექტორს ეს სიტყვები რომ ესმოდა, ცრემლების დამალვას ცდილობდა. რეპორტიორმა ბოლოს მას დაუთმო სიტყვა. ჰკითხა, თუ როგორ აქცია ეს ადგილი ნამდვილ ოჯახურ კერად.

შემდეგი სიტყვებით დაიწყო ბატონმა დირექტორმა:

„ყველაფერი წარმოდგენის შეცვლით დაიწყო. აქამდე ისეთი შეხედულება იყო, რომ აქ მხოლოდ უპატრონოთა თავშესაფარი იყო. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ ობლები

ჩვენი შემოქმედისა და შუამავლისგან მობარებული ამანათია. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი შუამავალიც ობოლი იყო. ამიტომაც, ეს პატარები ჩვენთვის ყველაფერზე ძვირფასები არიან. დიადი ალლაპი თავის წიგნში ბრძანებს: „ობოლი არავითარ შემთხვევაში არ დაამცირო!“ ამ ბავშვებს სულ უმნიშვნელო რამეც რომ შეემთხვეთ, რამე რომ ეწყინოთ და მოიღუპონ ან უსამართლობის მსხვერპლი რომ გახდნენ, ალლაპი ამის პასუხს ჩვენ მოგვთხოვს. ასეთი შეგნება რომ იქნება, დანარჩენი უკვე მარტივია. ჩვენი სახელმწიფოს ხელშეწყობით, უპატრონოთა თავშესაფარი ნამდვილ კერად ვაქციეთ ჩვენი ბავშვებისთვის. აქ ყველანი ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობთ.“

ვინც ამ გადაცემას უყურებდა, ყველას თვალები აუცრემლიანდა. „რა ბედნიერნი არიან ისინი, ვინც ჩვენი შემოქმედის ამანათს ეპატრონებიან,“ - ფიქრობდნენ.ვ



სურა დუჰა, აიათი-9-10.

„ამიტომ ობოლი არ დაჩაგრო და მათხოვარს არ გაუნყრე!“

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40-ის



muslim georgia uoliroun
international charity

იმედი

68069

ახალგაზრდა მთამსვლელი მარტო ნავიდა მწვერვალისკენ და გზაში დაიკარგა. სამძებრო ჯგუფი დღეების განმავლობაში ეძებდა. უკვე იმედს იწურავდნენ და უცებ მაძებარმა ძაღლებმა მთამსვლელს მიაკვლიეს. ლამის გაყინულიყო. ვერტმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. სულ რამდენიმე დღეში საავადმყოფოდან სალ-სალამათი გამოვიდა. გაზეთები და ტელევიზია დიდ ყურადღებას უთმობდნენ ახალგაზრდა კაცის ისტორიას. ყოველი რეპორტაჟის დროს ერთსა და იმავე კითხვას უსვამდნენ: „იყო თუ არა ნამი, როდესაც იმედი გადაიწურეთ?“ „სიმართლე რომ გითხრათ, იყო,“ - ამბობდა ახალგაზრდა მთამსვლელი, - „იყო რაღაც პერიოდი, როცა ვიფიქრე, რომ ყველაფერი დასრულდა. თოვლმა სრულიად დამფარა. ველარ დავდიოდი. აღარც საჭმელი მქონდა. ქარი ძალიან ძლიერად ქროდა. ნელ-ნელა ვგრძნობდი, რომ ვიყინებოდი. სადაც ვიყავი, იქვე დავწექი. ტკბილმა ძილმა მომიარა. ალბათ ვკვდები მეთქი, ვთქვი. ჩემთვის ვკითხულობდი ყველა ვედრებას, რაც კი ვიცოდი. შემდეგ კი ცხონებული ბებია გამახსენდა, რომელმაც ეს ვედრება მასწავლა. ის სულ ამბობდა: „ღვთისმსახურს თუ არ გაუჭირდა, დახმარება ვერ მიაღწევს. არავითარ შემთხვევაში შეგიპყროს უიმედობამ. შემოქმედი ყოველი გაჭირვების, სირთულის ჟამს შვებასაც გვარგუნებს.“ ამ სიტყვებმა შემმატეს ძალა. ისევ ჩავეჭიდე სიცოცხლეს. გაჭირვებით წამოვდექი. თავი მიუსაფარ ადგილას შევაფარე. ნასწავლი სურების კითხვა დავინწყე, რომ ტვინი ფხიზლად მქონოდა. სწორედ ამ დროს შემომესმა ძაღლის ყეფა. შემდეგ კი ხალხის ხმა. მივხვდი, რომ გადავრჩი. სიხარულისგან ვტიროდი. საკაცით ვერტმფრენში რომ გადავყავდი, არც ის დამვიწყებია, რომ ჩემი საყვარელი ბებიას სულისთვის ფათიჰა ჩამეკითხა.“

სურა ინშრაჰი, აიათი - 5.
„რამეთუ, უეჭველად,
სიმძიმეს ახლავს
შემსუბუქება“

მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40-ის



Muslim Georgia
International Charity

ვედრება

70 • 71

ჰარუნმა დაინახა, რომ დეიდა ესმა ბაზრობაზე რაღაცებს ყიდულობდა. უცებ თვალები გაუნათდა. სასწრაფოდ მისკენ გასწია, რომ დახმარებოდა. „დეიდა ესმა, პარკები წამოვიღო?“ -ჰკითხა. „ჩემო ლამაზო ბიჭო, ჩემმა მიმდევრებზე დამხმარე შემოქმედმა არ დაგტოვოს შენ დახმარების გარეშე, ინშალლაჰ,“ -უთხრა დეიდა ესმამ. „აამიინ,“ -უთხრა ბედნიერმა ჰარუნმა. ჰარუნმა მაშინვე აიღო იმდენი პარკი, რამდენის წაღებაც შეეძლო. ერთად გაეშურნენ სახლისაკენ. „შენი წყალობით, თვისუფლად დავდივარ,“ -უთხრა დეიდა ესმამ. „მიმდევრების საქმეების გამაადვილებელმა შემოქმედმა გაგიმარტივოს ყოველი საქმე, ინშალლაჰ.“ ჰარუნმა ამაზეც „აამიინ“ თქვა. სახლის კართან რომ მივიდნენ, დეიდა ესმამ მადლობა გადაუხადა. პარკიდან რამდენიმე მანდარინი ამოიღო და ჰარუნს მიანოდა. „გიყვარს?“ -ჰკითხა. „ძალიან მიყვარს,“ -უპასუხა ჰარუნმა, სიხარულით რომ ართმევდა მანდარინებს. „აღლაჰმა, რომელიც სარჩო-სანოვაგეს გვიგზავნის, სულ გემრიელი საქმელები გიბოძოს, ინშალლაჰ,“ -ვედრება აღავლინა მოხუცმა ქალმა. ჰარუნმა „აამიინ“ თქვა მანდარინების გაფრცქვნისას. „დეიდა ესმა, ძალიან მიყვარს შენი ვედრებები. როცა გხედავ, შენკენ მოვრბივარ, რომ ჩემთვის შეევედრო,“ -უთხრა. დეიდა ესმას გაეღიმა: „ინშალლაჰ, ვედრებების შემსმენელი ალლაჰი, მისი სახელით წარმოთქმულ ვედრებებს შეისმენს.“

სურა არაფი, აიათი- 180.

„ყველაზე საუკეთესო სახელები ალლაჰისაა (ოთხმოცდაცხრამეტი, როგორც ვიცით წმინდა ჰადისით). მაშ, შეევედრეთ მას ამით და განერიდეთ, რომელნიც მის სახელების შესახებ ჭეშმარიტებას ცვლიან. მალე მიეზღვებათ იმისათვის (საიქიოში), რასაც სჩადიოდნენ!“



ძონსლობები
ბეშმევებისთვის
40წმ



BZZZ zzz
zzzz zz

www.mim.org.ge
International
www.mim.org.ge

ფუტკანი

72°73

ზეინეფი ეზოში ბურთს თამაშობდა. ბურთი მაღლა რომ აიქნია, ხეზე ჩამოკიდებულ ფუტკრების სკას მოხვდა. ფუტკრები სკიდან გამოცვივდნენ. წამებში ბზუილი და ფრენა დაიწყეს. შეშინებული ზეინეფი სახლში გაიქცა. ფანჯრიდან უყურებდა გაბრაზებულ ფუტკრებს. რალაც დროის განმავლობაში დაფრინავდნენ ფუტკრები და მოგვიანებით ისევ თავიანთ სკას დაუბრუნდნენ.

„ოჰ, ძლივს გადავრჩი,“ - თქვა ზეინეფმა, - „სულ ცოტაც და მიკბენდნენ. მაინცადამაინც ჩვენს ეზოში დასახლდნენ. სხვა ადგილას არ მიდიან. ბაბუას ვუთხრა და გაყაროს აქედან.“

მამას გაეცინა. „ნუ აწვალე პატარა ცხოველებს. მათ თუ არ შეაწუხებ, არაფერს გავნებენ. მათი მოვალეობაც ეგაა. მათსავე აშენებულ კერას იცავენ. ალლაჰმა მათ უბრძანა, რომ მთებისგან, ხეებისგან და სკებისგან სახლი შეექმნათ. ამათაც ჩვენი ეზო აარჩიეს.“

„ანუ რა გამოდის? ალლაჰმა ბრძანა, რომ ფუტკრებს სახლები აეშენებინათ?“

„რა თქმა უნდა,“ - უპასუხა მამამ, - „აბა ფუტკარმა საიდან უნდა იცოდეს, სახლის აგება? ან თუნდაც, ფუტკარი სახლს რატომ აგებს და ჭიამაიას ეს რატომ არ აფიქრდება? ჩიტები ვისგან სწავლობენ ბუდის აშენებას? ალლაჰმა ყველა სულიერს მისთვის შესაფერისი მოვალეობა დააკისრა. ჩვენი მოვალეობა მისი შექმნილი უნაკლო წესრიგის დანახვა და მისი სიდიადის აღიარებაა.“

ზეინეფმა ფუტკრებთან დაკავშირებული გეგმა შეცვალა. ჩუმად მივიდა ხის ქვეშ და მათ უცქერდა.

სურა ნაჰლი, აიათი-68.

„შენმა ღმერთმა ზემთააგონა ფუტკარს: „გაიკეთე საცხოვრებელი მთებში, ხეებსა და ხალხის ნაშენებზე“.



ძიონისობები
ბავშვებისთვის
4000



ბავშვი

74°75

იფექს და ან ძმა ეყოლებოდა. იფექმა ეს ამბავი რომ შეიტყო, სიხარულით ცას ეწია. ისედაც დიდი ხნის მანძილზე ოცნებობდა და-ძმაზე. დღეები გადიოდა და დედას მუცელი უფრო და უფრო იზრდებოდა. იფექი დედას მუცელს ეფერებოდა და პატარას ესაუბრებოდა. იმის გამოსახატავად, რომ უფროსი დის ესმოდა, პატარაც შიგნიდან ფეხებს იქნევდა.

ბავშვი რომ იზრდებოდა, იფექის დედას სირთულეები ეწყებოდა.

გაფერმკრთალდა, მოძრაობები შეუწელდა. დანოლისასაც კი ძველებურად მშვიდად ვერ იყო. გაჭირვებით ჯდებოდა და დგებოდა, სულ ცოტა ხნითაც რომ დარჩენილიყო ფეხზე, წელი ტკივდებოდა.

ერთ დღეს იფექმა დედას უთხრა: „ოი დედიკო, ეს პატარა ჯერ არც კი მოსულა და უკვე როგორ დაგლალა. ვინ იცის, როცა მოვა რას გააკეთებს.“ დედას გელიმა: „დედები ბავშვებს მუცლით რომ ატარებენ, ყოველ დღე უფრო და უფრო შეუძლოდ გრძნობენ თავს. ბავშვები რომ იზადებიან, ღამით ვერ იძინებენ, მათთან ერთად სირბილი ღლით. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ეს

იციან, მაინც უნდათ ბავშვი, რადგან შვილის სიყვარულს ვერაფერი ჩაანაცვლებს.“

„დედის სიყვარულსაც ვერაფერი ჩაანაცვლებს,“-თქვა იფექმა და დედას ჩაეხუტა. ბავშვმაც შიგნიდან ორი დარტყმით დაადასტურა.

სურა ლოყმანი, აიათი -14.

„და ვუანდერძეთ ადამიანს მისი მშობლები. ატარა დედამ თავისმა, გაჭირვება-გაჭირვებით და მისი ძუძუდან მოწყვეტა ორ წლამდე გრძელდება. მე შემწირე მადლობა და შენს მშობლებს, რამეთუ ჩემთანაა მოსაქციელი!“



მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40წმ



georgia muslim community
International charity

ჯანმრთელი თვალი

76 • 77

ენგინი ზოოპარკში მუშაობდა. ერთ დღეს, ერთმა სტუმარმა მისი ყურადღება მიიქცია. მოხუცი ქალი იყო. საითაც არ უნდა წასულიყო, გაოცებული იყურებოდა და „სუბჰანაღლაჰ!“ გაიძახოდა. მოხუცი ქალის საქციელი ენგინს სასაცილოდ მოეჩვენა. რაღაც დროის მონაკვეთში ქალს თვალყურს ადევნებდა. ქალი მართლაც ისე გაოცებული იყო, თითქოს ცხოვრებაში პირველად დაენახა ცხოველი. დიდი ხანი აკვირდებოდა ცხოველებს და თავისთვის რაღაცებს ჩაილაპარაკებდა. ენგინმა ვერ მოითმინა, ქალთან მივიდა და ჰკითხა, ასე რატომ იქცეოდა.

„ეს ჩემდა უნებურად ხდება,“ - უპასუხა მოხუცმა ქალმა, - „რომელ ცხოველსაც არ უნდა შევხედო, მასში ალლაჰის სიდიადეს ვხედავ. ყოველ ჯერზე ვოცდები. ამათ შეხედე! ზოგიერთი მათგანი მუცლით დახობავს, ზოგი - ორი ფეხით დადის, ზოგი - დაფრინავს, ზოგი - ოთხ ფეხზე დადის, ზოგი - ცურავს... რამხელაა შემოქმედი, რომ სურვილის მიხედვით, სხვადასხვა სახეობის შექმნა. ყველა ერთმანეთისგან განსხვავებული და ერთმანეთზე ლამაზია. შესაძლებელია, რომ ამ სიდიადეს ხედავდე და გაოცდე?“ ენგინმა გააცნობიერა, რომ წლების მანძილზე ზოოპარკში მუშაობის მიუხედავად, ამაზე არც კი უფიქრია. ის იმათგან იყო, ვინ ხედავს და ვერ ამჩნევს.

მოინანია. ქალს მადლობა გადაუხადა, რომ თვალები აუხილა. ახლა საითაც კი გაიხედავს, ყურადღებით აკვირდება და შემოქმედზე ფიქრობს.

სურა ნური, აიათი -45.

„ალლაჰმა გააჩინა ყოველი ცხოველი წყლიდან. მათგან ერთნი მუცელზე ხობავენ, მეორენი ორ ფეხზე დადიან, ზოგი კი ოთხ ფეხზე. ალლაჰი იქმს იმას, რასაც ინებებს. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!“



მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40 ლი



ბრონეული

78 • 79

ფურქანის მამა ხილ-ბოსტნეულის გამყიდველი იყო. დახლებზე ერთმანეთზე ლამაზ ხილსა და ბოსტნეულს დაალაგებდა გასაყიდად. ფურქანიც შესაძლებლობას როგორც კი ნახავდა, მამასთან დასახმარებლად მიდიოდა. ერთ დღესაც, მამას რომ ეხმარებოდა, მოხუცი დეიდა მოვიდა.

„პატარავ, ერთი კილო სამოთხის ხილი მომეცი,“ -უთხრა. ფურქეი გოცელებული უყურებდა. მამამ შორი მანძილიდან ბრონეულისკენ მიუთითა. ფურქანმა მაშინვე აუწონა და მისცა. ქალი რომ წავიდა, ფურქანმა მამას ჰკითხა:

„მამიკო, ამ ქალმა ბრონეულს სამოთხის ხილი რატომ უწოდა?“

„იმის გამო, რომ ბრონეული ძალიან ლამაზი ხილია, სამოთხის ხილს უწოდებენ. ალლაჰმა, მისი მიმდევრებისთვის სამოთხე შექმნა. საუკეთესო ხილი, შარბათები, ბალები, სრულიად ყველაფერი საუკეთესო სამოთხეშია. ამ ქვეყანაზე არსებულებს ჰგავს, მაგრამ იმდენად ლამაზებია, რომ არც კი დაგვესიზმრება. ხალხმა ეს იცის და ამიტომ, ამ ქვეყანაზე არსებულ ყველაფერ კარგს სამოთხესთან აკავშირებენ. მაგალითად, ხურმისა და ბრონეულის მსგავს ლამაზ, სასარგებლო ხილს, სამოთხის ხილს უწოდებენ. ან თუნდაც, მარადმწვანე ბალებსა და ეზოებს სამოთხის ბალებს უწოდებენ. ფერადი და საყვარელი თუთიყუშიც, სამოთხის თუთიყუშია. სამოთხეში ყველაფერი იდეალურად ლამაზია. იქ ვინც წავა, უსასრულო ბედნიერებაში იცხოვრებს.“ ამ დროს კიდევ

ერთი მყიდველი მოვიდა.

„როგორი ბანანი გაქვთ?

კარგია?“ -იკითხა. „რა

თქმა უნდა, სამოთხის

ბანანივითაა,“ -უპასუხა

ფურქანმა.

სურა ბაყარა, აიათი -25.

„რომელთაც ირწმუნეს და ჰქმეს სიკეთენი, ახარე მათ სამოთხენი, რომლის ძირს მოედინება მდინარეები და ყოველთვის, როცა იქ მათ რაიმე ნაყოფი საზრდოდ ებოძებათ, იტყვიან: ეს ისაა, რაც წინათ დედამინაზე მოგვეცა. თუმცა ის იგივე არ არის, მხოლოდ მსგავსი მიერთვა მათ. იქ მათ ელოდებათ უმნიკვლო მეუღლეები, და იქ ისინი სამუდამოდ დამკვიდრდებიან“.



მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40 წმ



კავშირი

80 ° 81

თარიქის ბაბუას ძალიან ლამაზი ყურძნის ბალი ჰქონდა. თარიქს ბაბუას ყურძნები ძალიან უყვარდა. აი ის შავ-შავი, დიდ კაკლებიანი ყურძნები კი თარიქის უსაყვარლესი იყო. ბაბუამ იმათ 'თარიქის ყურძენი' დაარქვა.

იმ წლის მოსავალი ყურძნის დამწიფებამდე გახმა და გაქრა. თარიქმა ირგვლივ მიმოიხედა და შავი ყურძენი ვერსად დაინახა. „ბაბუა, როგორც ჩანს, წელს თარიქის ყურძენი საერთოდ არაა,“ -უთხრა. „როგორ შეიძლება, არ იყოს? რა თქმა უნდა, არის. თუმცა, ჯერ არ მომწიფებულა. აი ესენი თარიქის ყურძნებია,“ -უპასუხა ბაბუამ და მის გვერდით გამხმარი ნაყოფი უჩვენა.

თარიქმა ერთმანეთზე დახუნძლული, პატარ-პატარა ნაყოფებიდან ერთ-ერთი მოწყვიტა და გასინჯა. სახე შეიჭმუნა. „იიი, ესენი ძალიან მჟავია!“ ბაბუას გაეცინა.

„ჯერ კიდევ ქორფაა. შენ მაშინ ნახე, როცა მომწიფდებიან. ისევ თაფლივით გატკბილდებიან. დაუჯერებელია, ხომ ასეა? ზამთრობით, ყურძნის ტოტები შეშად იქცევიან. გაზაფხული რომ დადგება, ცოცხლდებიან. თავდაპირველად, ერთნაირად მჟავე ნაყოფს ისხამს და რაც უფრო იზრდება ნაყოფი, მით უფრო ტკბება. ზოგიერთი ვარდისფერი ხდება, ზოგიერთი - შავი, ზოგიერთი კი - მწვანე. უზენაესის სიდიადე! გამხმარი ტოტებიდან ხილი გამოჰყავს, ყველას ერთმანეთისგან განსხვავებულ, სასიამოვნო

გემოსა და არომატს

სძენს.“ „როგორც

ჩანს, საუკეთესო

გემოს

თარიქის

ყურძნებს

სძენს,“

-სიცილით

თქვა თარიქმა.

„დიახ. სწორედ

ისე, როგორც მე

მარგუნა საუკეთესო

შვილიშვილი,“ -უთხრა

ბაბუამ.

სურა ენლამი, აიათი -99.

„და იგია, რომელმაც ზეციდან წყალი გარდმოავლინა. და ამით ჩვენ აღმოვაცენეთ ყველაფერი მცენარეული, ასე აღმოვაცენეთ მწვანე ნაზარდი, რომლისგან რიგში განყობილ თავთავს აღმოვაცენებთ, და პალმის ბუტკოებისგან ჩამოხუნძლული მტევნები, და ზვრების, ზეთისხილისა და ბროწეულის ბაღები, ერთმანეთის მგვანი და განსხვავებული. შეხედეთ ნაყოფსა მისსას, როცა ისხამს და მწიფდება. უეჭველად, ამაში სასწაულნია მოწმუნე ხალხთათვის“.

ძირითადი
ბავშვებისთვის
400



მაღლიერება

82 • 83

დედამ სახლიდან ჰაქანს დაუძახა: „შვილო, ერთ ჭიქა წყალს მომიტან?“
„რა თქმა უნდა დედიკო,“ -უპასუხა ჰაქანმა. სასწრაფოდ აიღო ჭიქა, გრაფინიდან წყალი ჩაასხა და დედასთან მიირბინა. დედას წყლის დალევისას ბესმელეს თქმა და პირიდან წყლის გამოფრქვევა ერთი იყო. წყალი გადასცდა. ჰაქანი გაოგნებული შესცქეროდა დედას.

„უი! ეს გრაფინიდან დაასხი? სულ დამავინყდა მეთქვა, რომ იქედან არ დაგესხა. მწნილის გასაკეთებლად წყალი გავამზადე. ეს იმისგან დარჩენილი წყალია. დავიღუპე! რა ძალიან მარილიანია! საწამლაგვივით! ვაი, ვკვდებოდი!“ -ეუბნებოდა დედა და თან ამ დროს იცინოდა. ჰაქანი ძალიან დაინტერესდა. მხოლოდ ერთი ყლუპი გასინჯა. სახე შეიჭმუხნა. მართლა ძალიან მარილიანი იყო. დედა პირს რომ ივლებდა, წყალი ისევ მოუტანა. დედამ წყალი დალია.

„ელჰამდულილაჰ! გემრიელ წყალს რა ჯობია? სწორედ ამიტომ ვამბობთ, წყლის ყოველი დალევის შემდეგ „ელჰამდულილაჰ“. დიდი მადლობა უზენაესს, რომ ასეთი გემრიელი წყალი გვინყალობა. მას რომ ესურვა, ყველა წყალი მწარე იქნებოდა. მაშინ რა მოგვივიდოდა?“ -თქვა დედამ, წყალი რომ დალია.

„ალბათ მწნილად ვიქცეოდით,“ -სიცილით თქვა ჰაქანმა.

სურა ვაყილეთი, აიათი -68-69-70.
„რას იტყვით წყალზე, რომელსაც სვამთ? განა თქვენ გარდმოავლინეთ იგი ღრუბლებიდან, თუ ჩვენ ვართ ზეგარდმომვლენი? რომ გვენება დავადგენდით მას მწარედ. მაშ, კვლავ არ იქნებით მაღლიერნი?“



მოთხოვნები
ბავშვებისთვის
40 წმ



ცეცხლი

84 ° 85

სკაუტების ბანაკის პირველი დღე იყო. „გამარჯობა პატარებო,“ -თქვა ჯგუფის ლიდერმა, -„ბანაკის განმავლობაში ერთად ვიქნებით. აქ ყველაფერი ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ. გასათბობი ცეცხლიც კი ჩვენ უნდა დავანთოთ.“

„ეჰ! ნეტა ასანთი წამომელო,“ -თქვა ერთ-ერთმა სკაუტმა. ლიდერს გაეცინა. „ასანთი თუ იქნება, ცეცხლის დანთებას რაღა უნდა? ჩვენ ასანთის გარეშე დავანთებთ ცეცხლს. მოიცათ აბა, გაჩვენებთ. აბა დამეხმარეთ. ორმა თქვენგანმა, ცეცხლის დასანთები ადგილი ქვებით შემოსაზღვროს. ამგვარად ცეცხლი არ გაიფანტება. ორმა კი - მშრალი ფოთლები და ტოტები მოიტანოს. აბა, შევუდგეთ საქმეს!“ ყველაფერი მზად იყო. „ადამიანს, ბუნებაში დასარჩენად, წყლის შემდეგ, ყველაზე მეტად ცეცხლი ესაჭიროება. რადგან, ცეცხლით ვთბებით და ცეცხლის დახმარებით ვამზადებთ საჭმელს. ალლაჰმა ადამიანს ძირითადი საჭიროებების შესასრულებლად, ამ ქვეყანაზე ყველანაირი სახსარი მისცა. ცეცხლის დასანთებად, შეშა მოგვცა. აი ამ ქვებს შეხედეთ, ხელში რომ მიჭირავს. ამათ ‘კაჟის ქვას’ ვუწოდებთ. ესენი სანთებელას ბაბუები არიან. ჩვენი ბაბუები ცეცხლს ამათი დახმარებით ანთებდნენ. ახლა კი შეხედეთ, ეს როგორ ხდება,“ -თქვა ჯგუფის ლიდერმა.

კაჟის ქვები ერთმანეთს გაუხახუნა. სულ ცოტა ხანში ნაპერწკლების წარმოქმნა დაიწყო. ფოთლებს მოეკიდა და თეთრი კვამლი წარმოქმნა. მალევე წაეკიდა ყველა ფოთოლს ცეცხლი.

სკაუტებს პირი ღია დარჩათ.

„კი მაგრამ, საჭმელს როგორ მოვამზადებთ?“ -იკითხა ერთ-ერთმა. ლიდერს გაეცინა.

„ისევე მოვამზადებთ, როგორც ამას ჩვენი სკაუტი ბაბუები აკეთებდნენ -რიგის მიხედვით! ტყუილად კი არ უთქვამთ, რომ პატარა ჭიები ბევრს შრომობენო!“

სურა ვაყიღეთი, აიათი - 71-72.

„რას იტყვით ცეცხლზე, რომელსაც ანთებთ?

განა თქვენ აღმოაცენეთ ხე იგი, თუ ჩვენ ვართ აღმომცენები?“

ძიონისობები
ბავშვებისთვის
400



ფეხსაცმელი

86 ° 87

ქერიმე გაკვეთილის სამეცადინოდ, სალამოს, სეჰერთან წავიდა. მაგიდასთან მეცადინეობისას, ვიტრინაში დადებულმა, ძველმა ფეხსაცმელმა მიიპყრო მისი ყურადღება. ფეხსაცმლის წინა მხარე თითქმის სრულად გადახსნილიყო, გახუნებულიყო და კუთხეები დაფლეთილი ჰქონდა. უცებ, მისდა უნებურად, გაეცინა. „ეს რა არის? ეს აქ ვინ დადო?“ - იკითხა. „ეს მამაჩემის ფეხსაცმელია,“ - თქვა სეჰერმა. „ჩვენ პატარები რომ ვიყავით, ფინანსურად ძალიან გვიჭირდა,“ - საუბარში ჩაერთო სეჰერის მამა, - „მამა არ მყავდა. ოთხი და-ძმა ვიყავით. დედაჩემი ავად იყო. რა არ გამოვიარეთ. მაშინ, იმ პრობლემებისგან თავის დასაღწევად, ბევრ ვედრებას აღვავლენდი. მადლობა შემოქმედს, ჩემი ვედრებები მიიღო. ფინანსური და სულიერი სიმშვიდე ვიპოვეთ. დედაჩემიც სიცოცხლის ბოლო პერიოდში დავასვენეთ, დავამშვიდეთ. ყურ'ანი ქერიმში ხომ ნაბრძანებია, ადამიანს უბედურება რომ გადახდება, დაწოლისას, დაჯდომისას, ფეხზე დგომისას, განუწყვეტლივ თავის შემოქმედს ევედრება, მაგრამ უბედურებას თავს რომ დააღწევს, ისე დაავინყდება ყველაფერი, თითქოს ის არ ევედრებოდა. შემეშინდა, რომ სწორედ ასეთი ადამიანი შეიძლებოდა ვყოფილიყავი. შემეშინდა, რომ ის დღეები დამავინყდებოდა. ამიტომაც, ხილულ ადგილას დავდე ის ფეხსაცმელი, რომელსაც მაშინ ვიცმევდი. როცა დავინახავ, უზენაესს მადლობას ვნირავე, ჩემი ვედრებები რომ მიიღო, შეისმინა. ვცდილობ იმათ დავეხმარო, ვისაც უჭირთ.“ ქერიმეს შერცხვა, რომ გაიცინა. ფეხსაცმელს რომ ენა ამოედგა, ვინ იცის კიდევ რამდენ რამეს მოყვებოდა - გაიფიქრა.



სურა იუნუსი, აიათი - 12.

„და როცა კაცს უბედურება ეწევა, გვევედრება ჩვენ წამოწოლილი ან მჯღარი ან ფეხზე მდგომი. (ე.ი. ყველა მდგომარეობაში) მაგრამ როცა ავარიდებთ მას უბედურებას, ისე ჩაივლის, თითქოს არც ეთხოვოს ჩვენთვის შეწევნა თავსდატეხილი უბედურების გამო. აი, ასე მოეკაზმათ ზღვარგადასულეებს, რასაც სჩადიან“.



muslim georgia